პროლეტარ.

# ერთობა

ოთხშაბათი, 23 ივნისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მ. ყველგან 5 მანეთი განცხადება რედ. პეტიტის სტრიქონი 10 მან. დ. 6 მანეთი. სამგლოვიარო განც. რიგი ზომის (15—2) 200 მანეთი. დება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველ. № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 139 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 139

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
## ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულდათუთქული მშობლები ექიმი ნიკოლოზ გიორგის ძე **გეგეჭკორი** და მეუღლე მისი **კატუშა** პატარა თინიკოთი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს თავიანთი ნუგეშის პაწაწა ვაჟის

**გივის**

ჯერ გაუშლელი სიცოცხლის უდროვოდ მოსწრაფვას. გამოსვენება დღეს, 23 ივნისს, დღის 2 საათზე ბინიდან, ანასტასიას ქუჩა, № 7, დაკრძალვა ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში. (2011 1 - 1)

თავზარდაცემული: ევდოტე და შარვან ცხადაიები აუწყებენ ნათესავებს და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ნუგეში და იმედი პაწაწა შვილის შვილი

**გივი**

დაკრძალვა 23 ივნისს, ოთხშაბათს, დღის 2 საათზე თფილისში.

ლადო გეგეჭკორი მეუღლით თამარით და ინჟენერი გრიგოლ გეგეჭკორი თავისი პაწაწა ქალებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს თავიანთი საყვარელი ძმისწულის პაწაწა

**გივის**

უდროო ჩაქრობას. დაკრძალვა დღეს ორ საათზე.

გულდამწვარნი: დეკანოზი გიორგი გეგეჭკორი და მეუღლე მისი კატო გეგეჭკორისა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მოხუცებულობის ჟამს მათ თავს დაატყდათ ულმობელი მეხი და ხელიდან გამოსტაცა უსაყვარლესი და ნუგეში-სასოება შვილის-შვილი პაწაწა

**გიორგი (გივი) გეგეჭკორი**

დაკრძალვა დღეს, ოთხშაბათს დღის ორ საათზე თფილისში.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

1) პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საერობო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან. 2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით. 3) მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისაში ნედლში მიეცემა 3000 მ. მეორე ხარისხის პარკში—2800 მ. 4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ რწმუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით. 5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ. 6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული. 7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ. მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი**. მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე**. მთავარი რწმუნებული **ს. ქუთათელაძე**. (ნ. 15—6)

## განცხადება
### სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადა
ამით აცხადებს რომ საჭიროა ძომავალი წლისთვის შეიძინოს **თივა, სიმინდი** და **ქერი**, მოიჯარადრეებს შეუძლიან პირობების გაგება საბურთალოზე არტილირიის ყაზარმებში 25 ივნისს 12 საათ. დრ. ბრიგადის უფროსი ეგენტი. (2002—2—2)

კვირას 27 ივნისს ქ. ქუთაისში დანიშნულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა

## საზოგადო კრება

გასარჩევი კითხვები: 1. გამგეობის მოხსენება, 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. მიმდინარე კითხვები, 4. გამგეობის წევრების არჩევა.
**გამგეობა.** (2003—2—1)

### ვისაც სურს იქირაოს დიდი სწრაფ მავალი
## იალქნიანი გემი
სამგზავრო კაუტებით, რომელიც წაიყვანს 30 მგზავრამდე, ანდა 700 ფუთ ტვირთს—სტამბოლში ანდა ბულგარეთის ნავთსადგურებში, უნდა მიმართონ პირობების გასაგებათ ფოთის ნავთსადგურში, იახტა „ვეგაზე“. (2006—1—1)

### მეაბრეშუმეთა, ერობათა, კოოპერატივთა და კერძო ვაჭართა საყურადღებოდ.
ვისაც სურს ნედლი პარკის **ოცდა ოთხ საათში** გამოხრობა და თან საუკეთესოდ გამოხმობა
ვისაც სურს **მაღალის ღირსების** გამხმარი პარკის მიღება და სხვებთან ყველასთან შედარებით

## ბევრად იაფად
**დაუჯდეს პარკის გამოხმობა**

ვისაც სურს წმინდათ **გაარჩიოს** პარკი სხვადასხვა ჯურად, მარსელის ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით, მთავრობის ჩასაბარებლად
**იმან უეჭველად მხოლოდ**
ჩვენი მექანიკური ქარხნის **გამოსახრობ-გამოსახმობი** ქარხნით უნდა ისარგებლოს
რომელიც მეცნიერების უკანასკნელი სიტყვაა და დღეში ორი ათას ფუთამდე ნედლ პარკს ახმობს. ეს ქარხანა ჯდება სულ მცირე მოგებით, ადმინისტრატიული ორგანიზაცია მარტივი აქვს და აღდგენა ქარხნის ძვირად არ უზის. ეს ქარხანა **სხვა ქარხანაში** არ აურიოთ. ეს ქარხანა მდებარეობს სამტრედიაში, **ორპირის ქუჩაზე**, სალგურის პირდაპირ, დეპოს მახლობლად, სადაც შეგიძლიათ ნახოთ დაწვრილებით პირობების გასაცნობათ თვით ხელმძღვანელი ამ ქარხნის **სამსონ ახათიანი.** წერილების და დეპეშების მისამართი: სამტრედია სამსონ ახათიანს, (1994—3—1)

## სახელმწიფო თეატრი

კვირას, 27 ივნისს, 1920 წელს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ განმანათლებელი განყოფილება გამართავს პირველათ თფილისში დიდ სახალხო ვოკალურ-ინსტრუმენტალურ კონცერტს, რომელზედაც მოხდება საგვარდიო მარშების შეჯიბრება-არჩევანი.

**1 განყოფილება.**

1) ამირანი სიმფონიური პოემა — ქ. ფოცხვერაშვილისა.
2) უვერტიურა „თამარ ცბიერიდან“ — მ. ბალანჩივაძისა.
3) ბალეტი — მისივე.

შეასრულებს სახალხო გვარდიის გაძლიერებული საკონცერტო ორკესტრი ქ. ფოცხვერაშვილის და ვ. მიზანდარის ლოტბარობით.

**2 განყოფილება.**

ამ განყოფილებაში საგანგებო ჟიურის დამსწრე საზოგადოების მიერ მოხდება მთავარ შტაბისადმი საკონკურსოდ წარმოდგენილი თორმეტი მარშის შესრულება და ამათგან სახალხო გვარდიისათვის მუდმივი მარშის არჩევანი, რომლის ავტორს საჯაროთ უნდა მიესაჯოს მთავარი შტაბის მიერ დანიშნული ათი ათასი მანეთის (10,000 მან.) ჰონორარი.

მარშებს შეასრულებს იგივე გაძლიერებული საკონცერტო ორკესტრი ვ. მიზანდარის ლოტბარობით.

საკონკურსო ჟიურის შემადგენლობა გამოქვეყნებული იქნება 27 ივნისისათვის პრესის საშუალებით:

**3 განყოფილება.**

ქართული ხალხური სიმღერები და კილოები ხმა შეწყობილი გვარდიაში და ჯარში გასავრცელებლათ (კონკურს გარეშე).

**ა) მარტო ორკესტრისათვის.**

1) ლოცვა ქართველი ერისა — ქ. ფოცხვერაშვილისა.
2) იამბიკო (ქართული ჰიმნი 12 საუკ.) — მისივე.
3) ლაშქრული (ქართული საომარი სიმღ.) — მისივე.
4) მგზავრული — ზ. ფალიაშვილისა.
5) ალიფაშა — ქ. ფოცხვერაშვილისა.
6) მხედრული (პირველი ქართული მარში) — მისივე.

**ბ) გუნდისა და ორკესტრისათვის.**

1) მრავალ ჟამიერ — ზ. ფალიაშვილისა.
2) მაყრული — მ. ბალანჩივაძისა.
3) ძლევის სიმღერა — ქ. ფოცხვერაშვილისა.
4) კუჩხა — მისივე.
5) საომარი სიმღერა (ცხენოსნური) — მისივე.
6) დელი-დელა — მისივე.

შეასრულებს გაძლიერებული ქალ-ვაჟთა გუნდი დივიზიონის ორკესტრის მოძახილით ქ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში. (ნ. 3—1)

## ამხანაგობა „ხორცი“
### საკლავ საქონლის მომშენებელთა და მყიდველთა ამხანაგობა „ხორცი“-ს გამგეობა
ამით აუწყებს კოოპერატივებს, საზოგადოებებს, არტელებს და კერძო პირთ, რომ ამხანაგობა „ხორცი“-ს გამგეობამ მოაწყო:
1. **ცენტრალური სასაკლაო**, ბაზრის ქ. სახლი მუხრანსკისა.
2. **სასაკლაო, აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მთავარ მაღაზიასთან.** (კირკის ქ.) და ახლო მომავალში გაიხსნება სასაკლაოები ავლაბრისა და რუსთაველის განყოფილებებთან.
### კოოპერატივებთან და სხვა დაინტერესებულთა დაწესებულებებთან პირობები შეთანხმებით.
**გ ა მ გ ე ო ბ ა.**
მისამართი: კირკის ქ. აფიცერთა ეკონომიური საზოგადოება. (2007—2—1)

ოტია პალიანი
(არაგვიშვილი)
პოემა
„ავტონომია“.
იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა.
(1999—2—2)

## პარტიული ყრილობის დამთავრება

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის ყრილობა დასრულდა. ეს ყრილობა თავის კვალს დასტოვებს არა მარტო საქართველოს სოციალისტურ პარტიის ისტორიაში, არამედ იგი სოციალიზმის ისტორიაშიც დარჩება, როგორც მისი მეტათ საყურადღებო გვერდი. სოციალიზმის ისტორიაში ეს პირველი მაგალითია, რომ სახელმწიფოს სათავეში მდგომი პარტია პრაქტიკაში ახორციელებდეს იმ ძირითად პროგრამულ დებულებებს, რომლებიც დღემდის ყველგან მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი და რომელიც ცხოვრებაში გატარებისათვის ჯერ არავინ ცდილა, თუ ამ ცდათ არ მივიჩნიეთ—საბჭოთა რუსეთის დამანგრეველი და გამანადგურებელი კომუნისტური ექსპერიმენტები.

პარტიულ ყრილობის წინაშე იდგა ცენტრალური საკითხები სახელმწიფოს პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებისა. მან შეიმუშავა კონსტიტუციის ძირითადი დებულებები და ამავე დროს მან გაავლო ის ხაზი, რომლითაც სახელმწიფოს სათავეში მდგომი პარტია წაიყვანს საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებას.

ყრილობამ მიზნათ დაისახა განხორციელება იმ პოლიტიკურ წესწყობილებისა, რომელმაც უნდა საბოლოოდ განამტკიცოს ჭეშმარიტი დემოკრატიზმი, უმრავლესობის ხელმწიფება და რომელიც ამასთანავე წარმოადგენს საუკეთესო ფორმას სოციალისტურ წესების შემოღებისათვის. ასეთ პოლიტიკურ ფორმად ყრილობამ მიიჩნია **დემოკრატიული რესპუბლიკა.** ეს ფორმა მან დაუპირდაპირა პარლამენტარულ რესპუბლიკის ფორმას, რომელიც ბურჟუაზიული რესპუბლიკისათვის არის დამახასიათებელი. დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა იყოს უპრეზიდენტო. მთავრობის პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე ყრილობამ დაუპირდაპირა მთავრობის დამორჩილება: მთავრობის დარჩენა თუ გადადგომა დამოკიდებულია პარლამენტის და არა თვით მთავრობის სურვილზეო. თავის მხრით პარლამენტი რეფერენდუმის საშუალებით ხალხთან არის მჭიდროთ დაკავშირებული და ხალხის ნება სურვილის გამომხატველი; მართვა-გამგეობის სიმძიმის ცენტრი გადადის ადგილობრივ ორგანოებში, ე. ი. თვით ხალხის ხელში. ამნაირად სახელმწიფო წარმოადგენს ორგანიზაციულს ბატონობას მთელი ხალხისას.

სოციალ - ეკონომიურ ხაზს, რომელიც გაავლო ყრილობამ, პირდაპირ მიჰყავს საზოგადოება სოციალიზმის სამყაროსაკენ. **საზოგადოებრივ წარმოების უპირატესობა კერძო წარმოების წინაშე**—აი ის პრინციპი, რომელზედაც აგებული იქნება მომავალში ჩვენი სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიური პოლიტიკა. ამ პრინციპის განმახორციელებელი ორგანოა, უპირველესად, თვით დემოკრატიული სახელმწიფო, შემდეგ მისი ადგილობრივი ნაწილები—ერობა და ქალაქები, თემები, შემდეგ საზოგადოებრივი ორგანიზაციები—კოოპერატივები. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები თანდათანობით ხელში იგდებენ მონოპოლიას როგორც წარმოებაში, ისე აღებ-მიცემობაში, აგრეთვე საქონლის განაწილებაში. ყრილობამ უარი სთქვა კერძო ინიციატივის ძალდატანებით მოსპობაზე: მან ამ საკითხში სავსებით გამოიყენა მწარე გაკვეთილი საბჭოთა რუსეთისა, სადაც „სოციალისტური“ წესების შემოღება კერძო წარმოების **ნგრევით** დაიწყეს და არა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წარმოების **აშენებით** და სადაც ამის გამო კერძო წარმოება მთლად დაინგრა, საზოგადოებრივიც ვერ აშენდა. ყრილობა მტკიცედ დაადგა იმ წმინდა—მარქსისტულ აზრს, რომ ყოველივე დიდი საზოგადოებრივი გარდაქმნა თანდათანობით ხდება და არა ერთი ხელის დაკვრით, მეთაურთა ტვინში დასახულ გეგმაზე. კერძო წარმოება საჭიროა იქ, სადაც სახელმწიფოს და საზოგადოებას ჯერ არ შეუქმნია ყველაფერი ის, რაც ხალხს სჭირდება. იგი ნელნელა დასუსტდება, რაც უფრო გაძლიერდება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წარმოება.

ასეთია ყრილობის მიერ დასახული დღევანდელი სოციალ - პოლიტიკური პროგრამა, რომლის განხორციელებასაც დაუყონებლივ შეუდგება საქართველოს სათავეში მდგომი სოც.-დემოკრატიული პარტია. ის, რასაც ახორციელებს ეს პარტია, არ არის ბოლშევიზმ-კომუნიზმი, იგი არ არის არც ბურჟუაზიული სახელმწიფო: ეს არის თანდათანობითი აშენება სოციალისტურ სახელმწიფოსი.

## კიროვი და ბოლშევიკები
(პრესის მაგიერი)

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის ჩამოსვლისთანავე საქართველოს ბოლშევიკებმა, რომელნიც თითქოს შეურიგდენ ჩვენს დამოუკიდებელ დემოკრატიულ არსებობას, კვლავ თავისი ძველი ჰანგები აამღერეს.

პირველ შეხვედრისთანავე, ჯერ ბ. კიროვს თავის ტანჯვა შესჩივლეს და დახმარება სთხოვეს. ესე იგი მოიქცენ წინაალმდეგ ხელშეკრულობისა, რომლის ძალით ისინი ლეგალურათ არსებობენ.

ჩვენი მუშები, განაცხადეს მათ, „ორგანიზაციული ძალდატანებით ჩამოშორებული რუსეთის მუშათა კლასს და სოციალისტურ რევოლიუციას, მალე აღადგენს ამ კავშირს და ჩადგება მებრძოლთა პროლეტარების მოწინავე რიგში“.

ამბობს ბოლშევიკი კიკნაძე.

ვინ უშლის, რუსეთის „სოციალისტურ რევოლიუციის“ ასეთ გულმხურვალე კომუნისტებს მიბრძანდენ სოციალისტურ რუსეთში და დასტკბენ მისი სამოთხისებური წყობილებით?. განა ჩვენ ვეზიდებით მათ „კონტრ-რევოლიუციურ“ საქართველოში დასარჩენათ?

მიბრძანდით ბატონებო იქ, და რასაც შესტრფით, იმით დაიტკბეთ სული. აქ კი ასეთ „გამოსვლებზე“ ხელი აიღეთ. ჩვენ ვიცით, თქვენს ასეთ „რევოლიუციურ“ განცხადებას რა სუნი უდის. ბ-ნი კიროვიც, რომელსაც მეზობლობის დამყარება აქვს დავალებული, მეტათ ახირებულათ ახასიათებს თავის როლს. იგი აქ აპირებს საქართველოს მუშების გაბედნიერებას. „რუსეთის მუშათა კლასი და მისი მთავრობა არას დროს არ ივიწყებს სხვა ქვეყნების დაჩაგრულ ამხანაგებს და არც საქართველოს მუშათა კლასი იქნება მის მიერ დავიწყებული“.

უნდა გულახდით მოვახსენოთ ამ გულახდილ სიტყვებზე კიროვს: თუ ის აქ გულისხმობს ჩვენს საქმეებში ჩარევას და თავის ექსპერიმენტების ჩვენი მუშათა კლასისთვის თავზე მოხვევას, არც უნდა ჩამობრძანებულიყო, ყოველ შემთხვევაში არ უნდა ჩამოსულიყო მისიის სახელით და ფირმით.

მისია საერთაშორისო ურთიერთობის ორგანოა და ამ მიზნიდან გადახვევა—ეს იქნებოდა კეთილ მეზობლობის დარღვევა, რასაც საქართველოს მუშები და გლეხები არავის არ დაანებებენ.

ბოლოს „საქ. კომუნისტი“, რომელიც თვით მოგვითხრობს ზემომოყვანილ სიტყვებს, ბოლოს მაინც ვერ ითმენს, რომ „ასობი ატრიადს“ არ მისწვდეს და თან გრ. ურატაძეს იმოწმებს: ნუთუ ასე შეხვდენ მას მოსკოვშიო. გრ. ურატაძე ალბათ ამჟამადაც არ დაიშურებს მოწმობის როლის შესრულებას. ჩვენ კი აქ აღვნიშნავთ, რაც იმავე გრ. ურატაძის სიტყვებიდან ვიცით: მოსკოვში ყველა ახლად ჩამოსულ პირს, ვინც უნდა იყოს, აგენტები ჩრეზვიჩაიკისა ოფიციალურათ და სისტემატიურათ დაჰყვებიან უკან, როგორც აჩრდილი და ერთ ნაბიჯის თავისუფლათ გადადგმის ნებას არ აძლევენ. ჩვენმა ბოლშევიკებმა აქაც ტყვილა გამოიჩინეს თავის უცოდინარობა და უგნურება. „სოციალისტურ“ საბჭოთა რუსეთს, საქართველო „ასობი ატრიადების“ მხრივაც ვერ შეედრება.

## „კომუნისტის“ მკითხველებს
V

### გოგოლის გმირი

ბოლშევიკებისგან, დიდი ხანია აღარაფერი მიკვირს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მაინც გამიკვირდა, როცა „საქართველოს კომუნისტის“ მეოთხე ნომერში წავიკითხე—„ენგელსს ამაოთ ეპოტინებიო“.

მე მომყავდა ერთ-ერთ წინანდელ წერილში ენგელსის აზრი სოციალისტური რევოლიუციის და ბრძოლის საშუალებების შესახებ. ყურადღებას ვაქცევდი და ეხლაც ვაქცევ აზრს და არა ასოებს.

ენგელსი ადარებდა პროლეტარული ბრძოლის ორ საშუალებას—შეიარაღებულ აჯანყებას და საყოველთაო კენჭის ყრას. ადარებდა პარიზის კომუნის შემდეგ. ამ კომუნის სიძლიერეს ის ხედავდა სწორედ იმ გარემოებაში, რომ მაშინ პოლიტიკური ძალა-უფლება აღმოცენდა ხალხის ნებაყოფლობაზე, საყოველთაო არჩევნებზე, ერთი სიტყვით, დემოკრატიული პრინციპების სარჩულზე.

ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია ყოვლად შემძლე ბოლშევიკებისთვისაც. რაც იწერება კალმით, ის არ ამოიჩხება არც ნაჯახითო, ამბობს რუსული ანდაზა.

მე ვენდობი ჩემ მეხსიერებას და არ შევუდგები „კომუნისტის“ დასაჯერებლათ მარქსის და ენგელსის ყველა ნაწერების გადათვალიერებას. ვენდობი ჩემ მხედველობას და გადავავლებ თვალს მარტო ამ წერილს, „საქ. კომუნისტის“ მეოთხე ნომერში მოთავსებულს. ავტორს მოჰყავს აქ ენგელსის წინასიტყვაობა, რომელიც დაიბეჭდა 1895 წელს მარქსის წიგნაკში. სწორედ ეს წინასიტყვაობა მქონდა მე მხედველობაში. „კომუნისტის“ თანამშრომელს ასე თუ ისე სინდისიერათ გადმოუწერია ეს საყურადღებო ნაწარმოები.

აქ ვკითხულობთ სიტყვა სიტყვაზე შემდეგს: „საყოველთაო ხმის მიცემის უფლებამ პროლეტარიატის ნაწილი შეიყვანა ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც წინეთ ბურჟუაზია იყო გამეფებული. **ამიტომ მთავრობას და ბურჟუაზიას უფრო ეშინიათ მუშათა პარტიის კანონიერ მოქმედების, ვინემ არალეგალურის, არჩევნების შედეგის უფრო, ვიდრე აჯანყების შედეგის. ამასთანავე ბრძოლის წესი საგრძნობლათ შეიცვალა. ძველი ტიპის აჯანყება, ქუჩაში ბრძოლა ბარიკადებზე, რომელიც 1848 წლამდის ბოლოს და ბოლოს საქმის გადამწყვეტი იყო, ახლა საგრძნობლათ მოძველდა“.** (ხაზი ჩემია).

რითი გაირჩევა ამ ამონაწერის აზრი იმისგან, რაც მე ვთქვი ენგელსის სახელითო? ვინ სტყუის, კომუნისტის მკითხველო?

ერთში ვეთანხმები ჩემი პრინციპიალური „ტყუილების“ „მხილებელს“. სამართლიახათ იქცევა ის, როცა ამბობს, ამ დავენდევით საკუთარ მეხსიერებასო მისი მეხსიერება მართლა ისე პატარა ყოფილა, რომ წერილის დაბოლოვებამდის შემოკლებია. დავიწყებია წერილის გათავებისას ის, რასაც სწერდა მისი დაწყებისას. ჯერ ამბობდა, ენგელსს არსად არ გამოუთქვამს აზრი შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ და საყოველთაო არჩევნების სასარგებლოთო. მერე კი თითონ მოიყვანა ენგელსის სიტყვები, სადაც ეს აზრია გატარებული.

რაღა ფასი აქვს ამის შემდეგ მის გრძელ წილადობილას? „ერთობის“ მკითხველს ესარჩლება, ვითომ. დარწმუნდეს „კომუნისტის“ რედაქცია, რომ ამ მკითხველს მისი გამოსარჩლება არ ეპირვება, ის კარგათ არჩევს ყალბ ფაქტებს და აზრებს საღი ფაქტების და აზრებისგან.

მე არ მაქვს „კომუნისტის“ მკითხველებზე ისეთი ცუდი წარმოდგენა, როგორც „კომუნისტს“ „ერთობისაზე“. ყველა ადვილათ დაინახავს, რომ იმ წერილში, რომელიც მეოთხე ნომერშია მოთავსებული, თავი ბოლოს არ ებმება და ბოლო თავს. „კომუნისტი“ მოეპოტინა ენგელსს და, გოგოლის ერთი გმირივით, გაიბერტყა თავის თავი.

აქამდის მე ამ გაზეთის თანამშრომლებისგან ძოვითხოვდი მეტ სინდისიერებას. ახლა ვხედავ, რომ სინდისთან ერთად საჭიროა ჭკუა და მეხსიერება. ამ უკანასკნელს კი, როგორც გავს, ვერ მოვითხოვ ჩემ სიტყვა გრძელ მოკაათისგან. ყოველთვის ვდგავარ მარქსისტულ-მატერიალურ მსოფლმხედველობის ხაზზე, ანგარიშს ვუწევ ობიექტიურ პირობებს და არასოდეს არ ვაყენებ შეუძლებელ მოთხოვნებს. არ ვეძებ იქ, სადაც არა მოიძებნებარა.

**ს. დევდარიანი.**

## „ტანის“ აზრი საქართველოს შესახებ

გაზ. „ტან“-ში დაბეჭდილია წერილი სათაურით: „დამოუკიდებელი საქართველო“. ამ წერილში პარალელია გავლებული რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიის შორის. იმ დროს,—სწერს წერილის ავტორი ტ. ჟანტიზენი,—როდესაც რუსეთში ბოლშევიკებმა გაანადგურეს მთელი სახელმწიფო აპარატი, დაანგრიეს მრეწველობა, კულტურა და ფეხქვეშ გასთელეს თავისუფლება, სასაქართველოს დემოკრატიამ შესძლო შექმნა ნამდვილი სახელმწიფო სწორ სახელმწიფოებრივ მართველობით.

საქართველოში დაცულია ყველა უფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა. არ არის მონობა და ამიტომ ადვილი განსახორციელებელია ყოველივე საქმე, კომერციული იქნება ის, განმანათლებელი, თუ სავაჭრო. აქ მოწყობილია რეგულიარული ჯარი, შემოღებულია წინად არ ყოფილი მუნიციპალური მართველობა, გახსნილია სკოლები და უნივერსიტეტები.

იმ დროს, როდესაც რუსეთის რევოლიუციამ გვაჩვენა უსრულობა და არცოდნა რუსეთის დემოკრატიისა, რომ

# დღეს

გერმანიაში მთავრობის კრიზისი დასრულდა. კაბინეთის შედგენა ფერენბახს მიენდო.

---

გენერალური შტაბის ცნობა.

როყის მიმართულებით გუშინ, 21 ივნისს, ჩვენმა ჯარებმა მტრის დევნის დროს დაიკავეს როყის უღელტეხილი. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი.

ქედის უღელტეხილის მიმართულებით ჩვენ ბანდებისაგან გავსწმინდეთ ყველა სოფელი, რომელიც კი უღელტეხილამდის მდებარეობს და ჩვენი ჯარები უღელტეხილს იკავებენ.

ამგვარათ, რესპუბლიკის მთელი ტერიტორია ბანდებისაგან გაიწმინდა.

ოზურგეთის მაზრაში, ბათომის ოლქის საზღვარზე, 20 ივნისს აჭარელების ბანდები ჩვენ მოსაზღვრე ჯარისკაცებს თავს დაესხნენ.

სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

---

მას შეექმნა და დაეცვა ესა თუ ის მართველობის ფორმა,—საქართველოს დემოკრატიამ თავისი ბელადების,—ჟორდანიის, წერეთლის, ჩხენკელის და სხ. მეთაურობით შესძლო შეეყვანა ევროპისაგან დავიწყებული პატარა ხალხი დასავლეთის ხალხთა ოჯახში და იქ თავისი ადგილი დაეკავებინა. საუკუნის განმავლობაში საქართველო ჩრდილში იმყოფებოდა. მაგრამ ხალხმა შეიძლო თავისი კულტურის შენახვა. სწორედ ამის წყალობით საქართველომ თავის არსებაში გამოსძებნა ძალა, რომ იგი ბალშევიკების აგიტაციას არ დამორჩილებოდა. ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ საქართველო ბალშევიკებისაგან არ დაინგრა, არის ის, რომ საქართველოს გლეხებს და მემამულეებს ჰქონდათ ერთი ენა და არ იყო ის საუკუნოებრივი სიძულვილი და შურისძიების სურვილი, როგორც ეს რუსეთში ემჩნეოდა და ბოლოს, საქართველოში მუშათა ელემენტი ბევრად მაღლა დგას კულტურულად რუსეთის გლეხზე.

ასე დაიბადა ახალგაზრდა საქართველო, ძლიერი თავისი ეროვნული სულით. ხალხი ბედნიერია თავისი დამოუკიდებლობით. ყველგან ისმის ქართული ენა. რუსეთის დროშა შეცვლილა საქართველოს ეროვნული დროშით.

საქართველოს მთავრობა იჩენს აუცილებელ გონიერებას და გვერდს უვლის ყველა მას, რაც სოციალურ მძულვარებას გამოიწვევს. ბალშევიზმის ყოველივე უკიდურესობანი, ეს სისხლიანი საყვარელი ფორმულები ლენინისა და ტროცკისა, საშინელ წინააღმდეგობას ხვდება საქართველოში. წერილი შემდეგი შენიშვნით თავდება: თუ შესაძლებელია გამართლება იმ არეულობის და საშინელებისა, რომელიც რუსეთში ხდება, ის შეიძლება გავამართლოთ მხოლოდ იმით, რომ ყოფილ იმპერიის კულტუროსან ერებს და მათ რიცხვში საქართველოს, შეძლება მიეცა თავისუფალი განვითარებისა (ს. ბ.).

## წერილები ფრონტიდან

წერილი მესამე.

ჩვენ გულის ფანცქალით მივაჭენებდით ცხენებს ს. შიხილისაკენ, სადაც შევიდა ჩვენი მარცხენა კოლონა. ბალშევიკების მკვდრების დათვალიერების შემდეგ, ჩვენ გვაინტერესებდა ჩვენი ზარალის გამორკვევა, მტერს მარტო რუსები დარჩა 20 მკვდარი,*) რამდენია ჩვენი ზარალი? აი ეს კითხვა გვედგა ყველას წინ. ჩვენ მხარეზე (მარჯვენა კოლონაში) უკვე ვიცოდით დანაკლისი: ორი მკვდარი და 10-მდე დაჭრილი, არ ვიცოდით მარცხნივ რა მოხდა, ვინ იყო ცოცხალი და ვინ მკვდარი.

ს. შიხილოში ჩვენი ჯარები ჯგუფჯგუფად ისვენებდენ. აი აგერ გამოჩნდა წითელი დროშა მთავარი შტაბისა და ჩვენც იქით გავეშურეთ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა მომღიმარი ამხანაგების სახეებში გავარჩიე ყველა,—ვალიკო, ალექსანდრე, ლადო და სხვანი,—ყველა ჯანმრთელად. მიულოცეთ ურთიერთს თუ არა, მე მაშინვე დანაკლისზე ვკითხე. ამხანაგებმა დალონებით მითხრეს, რომ დანაკლისი თუმცა რიცხვით ბევრი არა, ათამდე კაცია, მაგრამ საუკეთესო ამხანაგებიაო...

მოვილაპარაკეთ საჩქარო კითხვებზე და შემდეგ დავსვით მთავარი,—შემდეგი მოქმედების გეგმა. ერთხმად გადაწყდა, რომ წინსვლა ჯერჯერობით შევაჩეროთ. დავისვენოთ შიხილის ხაზზე, მივიღოთ სურსათი და ტყვიები და მოვუცადოთ რეზერვს და თუ ამ დროში მტერი ზავს არ მოითხოვს, წავიდეთ წინ. რეზერვისა და სხვა საქმეების მოსაწყობად თფილისში წავიდნენ ლადო და ვალიკო, ხოლო მე და ალექსანდრე და ხარაში სარდლობასთან ერთად შევუდექით დღიურ საქმეების მოწესრიგებას, სხვათა შორის ახალი პოზიციების გამაგრების საქმეს.

ის იყო ღამდებოდა, რომ მთავარსარდლის დეპეშა მივიღეთ თფილისიდან, სადაც გვატყობინებდა ზოგ ახალ ცნობებს კონტრ დაზვერვიდან და ბრძანებდა დაუყონებლივ წინსვლას. ჩვენ ყველანი შეუძლებლათ ვთვლიდით ამის ასრულებას, მაგრამ ბოლოს ვთქვით: რაკი ავირჩიეთ დავემორჩილოთთქო და დავიწყეთ მზადება. ცნობა მოგვივიდა, რომ უკვე ახლოს იყო № ბატალიონი საჭირო იყო საბარგულეების მოსვლის დაჩქარება. გავგზავნეთ ცხენოსნები ს. კაჩაგანსა და მუღანლოში, სადაც დატოვებული იყო საბარგულეები.

13 მაისს, დილა ადრიან შეუდექით ბათალიონების დაწყობას, რაც ადრევე განაწილებული იყო, მაგრამ სამტრედიელები და საბარგეულეები არსად სჩანდნენ. 7 საათზე მოვიდნენ სამტრედიელები, ხოლო საბარგეულეები 12 საათამდე ვერ მოვიდნენ. საჩქაროთ დავურიგეთ პური, პატრონები და შეუდექით საქმეს.

მე და ხარაში ისევ მარჯვენა კოლონაში წავედით. ამ დღეს წინ მიდიოდნენ სამტრედიელები და თფილისელები, ჩვენც მათ გავყევით. მე წავედი სამტრედიის ბათალიონთან. მათთან შეერთებული იყო ტყვიის ფრქვეველთა საგანგებო გუნდი, რომლის უფროსი ოფიცერი შარაძე შეტევის საერთო ხელმძღვანელათ დაინიშნა.

შარაძეს წინასწარ დაჭერილი ჰქონდა კაკილის მთა, საიდანაც უნდა დაეწყო მსვლელობა. მთაზე მას შემოერთებოდა რამდენიმე შეიარაღებული სომეხი ახლომახლო სოფლებიდან და მათგან ვიცოდით, რომ მტერი გამაგრებული იყო ინჯასუს მარჯვენა ნაპირზე მდებარე მთაგორებზე. ჩვენც იქით გავემართეთ.

ერთი გუნდი სამტრედიელებისა სომხების თანხლებით გაგზავნილ იქნა სულ მარჯვნით ისე, რომ კაიმახლუ-კამარლუს მთებისთვის დასავლეთ სამხრეთიდან შემოევლოთ და იქიდან მოსდგომოდნენ ამ სოფლებს, ხოლო დანარჩენი ძალა ფერდოების ჩავლისა და მთის კალთებთან მიახლოვებისთანავე გავშალეთ და გრძელი მწკრივით შეუდექით მთას. ჩვენ მწკრივის მარჯვნივ მიდიოდა მზვერავთა რაზმი.

ჯერ კიდევ არ ვიყავით მაღლობის ქედზე ასული, რომ მეორე მოპირდაპირე ქედიდან ეთბაშათ მოგვაყარეს ტყვიები თოფებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან. მწკრივი შედგა და კომანდას უცდიდა. ამხ. შარაძე უცბათ გადახტა ცხენიდან და გაექანა იქით, სადაც უფრო ურტყავდა მტრის ცეცხლი და უყვირა დაედგათ ლუისა. სხვა ტყვიისმფრქვეველებს ებრძანა შეჩერებულიყვნენ ხოლო მწკრივს მოესმა კომანდა: „წინ, მწვერვალამდე!“ მტერს სადღაც ეჭირა ერთი ჩვენზე მაღალი ბორცვი და იქიდან გვაყრიდა მარჯვეთ. დანარჩენ ხაზიდან ტყვიები თავზე გვივლიდა, მაგრამ ვერ გვწვდებოდა, მანამ სულ არ ავიდოდით ქედზე. ჩვენი გასროლილიც ტყუილი ხარჯი იყო, თუ ქედზე არ ავიდოდით. ამიტომ ვიჩქაროდით. მარცხნივ შარაძე ჩაერია წრეში და შეჰყვირა: აბა ბიჭებო, მედგრათო, ხოლო მე მთხოვა მარჯვნივ მეგდო ყური. მარჯვენა მხარეზე ჩვენ წინ პატარა დუბე გამოჩნდა და მხოლოდ აქედან ავიდოდით ქედზე. სამტრედიელები საჩქაროთ გადაეშვნენ დუბეში და სროლით ავყევით ზევით, შარაძის მხარე უკვე ავიდა მარცხნივ და დადგა ტყვიისმფრქვეველი სულ წვერზე. აბა, ბიჭებო, გვაჯობა მარცხენამთქო, დავუძახე გუნდს და ისინიც ხელათ გაჩნდნენ ქედზე. მე მაშინვე გამოვუძახე ტყვიისმფრქვეველებს, რომ საჩქაროთ გამოეტანათ ჩვენთან. შეიქნა გაანჩხლებული სროლა, დაინთო ჯოჯოხეთის ცეცხლი გაღმა-გამოღმით. მტრის უპირატესობა მხოლოდ ისდა იყო, რომ მოპირდაპირე ქედზე სანგრებში იყო მიმალული, ხოლო ჩვენ ტიალ ქედზე გადაწოლილებს კარგათ გვამჩნევდენ და გვიმიზნებდენ. ჩვენ უკვე გვყავს დაჭრილები. აქა-იქიდან თხოულობენ ხმა-მაღლა სანიტარებს. გვარდიელები მაინც არ ტყდებიან და მედგრად ისვრიან. ტყვიისმფრქვეველთა მოშველებამ ხომ ისინი სულ გაამხნევა. ამავე დროს ჩვენ მარცხენა კოლონიდანაც გვესმის ბრძოლის გუგუნი, ზარბაზნების ქუქა-ქუხილი.

ამუშავდნენ მტრის ზარბაზნებიც. ორ მათგანს ეტყობა ჩვენი ბათალიონის წინააღმდეგ ქონდათ მომზადებული, მაგრამ ტყუილა კარგავს ყუმბარებს: მათი ნასროლი თავზე გვიფრენს და ჩვენ უკან ორ ვერსზე სკდება, გვარდიელები ამან ხუმრობის გუნებაზე მოიყვანა: „თფილისს არ მოარტყას, სასახლე არ დაგვინგრიოსო“...

ჩვენ მარჯვნივ ქედი ტოტათ იხრება და მიდის იქით, სადაც მტრის ხაზის ქედ-გორებია. ჩვენმა მზვერავთა რაზმმა შენიშნა მისი სტრატეგიულობა სამანევროთ და შეუდგა მის დაკავებას, მაგრამ მტერმა შენიშნა და დაუნთო ცეცხლი. ისინი დაწვნენ და ტყვიის მფრქვეველი აამუშავეს, მე მაშინვე გავუგზავნე მათ მეორე ტყვიის მფრქვეველი და შეუთვალე შემოუარონ მტრის ხაზს. ამასობაში შარაძის ტყვიის მფრქვეველებმა მტერი იძულებული გახადეს უმთავრესი ბორცვი,—კაიმახლუს მთის მწვერვალი დაეტოვებია. ამის გამო მტერმა იცვალა ხაზი და ჩვენც ის დავინახეთ. ამის შემდეგ მათ ჩვენები ნიშანში იღებდნენ და ფანტავდნენ, მაგრამ გაქცევით მაინც არ გარბოდნენ: იფანტებოდნენ და იქვე სადმე მაგრდებოდენ. შარაძე მოვიდა ჩვენი ხაზის დასათვალიერებლათ და როცა მას მზვერავების მდგომარეობა-მნიშვნელობა გავაცანი, მითხრა: მე თითონ წავალ იქ და შენ რეზერვიდან ერთი ნახევარი გუნდი მომაშველეო. მე მაშინვე გავედი უკან გორაზე, სადაც ბათალიონის უფროსს ნახევარი გუნდი ჰყავდა რეზერვში და ის იყო ცენტრში გზავნიდა, რადგან იქ უკვე იცვლიდენ ხაზსს და წინ მიდიოდენ. მე ავუხსენი შარაძის მოსაზრება, რომ ბრძოლის ბედი იმ გორამ უნდა გადაწყვიტოს, საითაც მზვერავთა რაზმი იწევდა და ისიც დამთანხმდა. წავიყვანე ნახევარი გუნდი ოფიცრით. სანამ ჩვენ მოვუვლიდით, შარაძემ უკვე დაიკავა ქედის უკანასკნელი ნაწილი და გვერდიდან მოექცა მტერს. შეერთებული ძალით ჩვენებმა დაანთეს აქედანაც ცეცხლი და... მტერი აიშალა. ჩვენმა გაღმა ფრონტმა ერთი კი გამოსძახა ჩვენ გორაკს—„მისცხეთ მაგ ძაღლებსო!“ და, წამოიჭრა რა ზეზე, ერთხმად შესძახა „ურა“ და შეუპოვრათ გამოქანდა მტრისაკენ. სულ რამდენიმე წუთში ჩაირბინეს ჯერ დაღმართი, მერე აირბინეს აღმართი და გაჩნდენ იმ ხაზზე, რომელიც ქედზე მტერს ეჭირა, მტერმაც ასევე სისწრაფით გაირბინა ჯეჯილი და გაუდგა გზას. ამავე დროს ისინი ცდილობდენ თავის დაღწევას საერთო სამხედრო წესის დაცვით: ნაწილი რომ გარბოდა, ნაწილი იდგა და გვესროდა. და ამას ჩადიოდა არა საბჭოს წითელი ჯარი, არა, ის ჩვენ მხარეზე ამ დროს არ ყოფილა, ეს იყო აზერბეიჯანის ზაქათალის პოლკი. მათ ათამდე მკვდარი დასტოვეს და გაიქცნენ.

ამ დროს შემოსავლელათ წასულ გუნდის შიკრიკიც მოვიდა და შეგვატყობინა, რომ გუნდს ამოცანა შეუსრულებია, რომ მას ს. ზედა კამარლუ აუღია, ინჯასუში გასულა და ქვედა კამარლუს უვლის თავს. ჩვენ გადავადექით ზევიდან ამ სოფელს და ვშინჯავდით, არის თუ არა კიდევ იქ მტერითქო და შევნიშნეთ, რომ ზოგ სახლებს ცეცხლი ეკიდებოდა. ვიფიქრეთ, ალბათ, ჩვენ ყუმბარებს გაუჩენიაო, მაგრამ როგორც კი ჩავედით, მივხდით საქმე რაშიაც იყო: თათრის ჯართან ერთათ გაქცეულიყვენ თათარი მცხოვრებლებიც, ხოლო სოფელში შემოსულიყვენ სომხები, დიდიან პატარაიანა მოსდებოდენ სახლებს, ძარცვავდნენ და მერე ცეცხლს უკიდებდნენ. სანამ ჩვენ გავიგებდით, ნახევარზე მეტი სახლები უკვე იწვოდა, ხოლო მერეც ძნელი შეიქნა სოფლის მათგან დაცვა. მათ ძალიანაც გაუკვირდათ, როცა ჩვენ მათი მოქმედება ავკრძალეთ: „განა თქვენ ომი არ გაქვსთ მათთანო, გვეკითხებოდენ. ერთ ადგილას, როცა მამაკაცებს მივერეკებოდი, მოვიდნენ ქალები და რომ გაიგეს ქართველი პოლკოვნიკიაო (ასე გააცნეს ჩემი თავი მამაკაცებმა), მომვარდენ ცხენზე და მოინდომეს ფეხზე კოცნა. „ვინც ეს ურჯულოები განდევნა, ის იესო ქრისტეა, თქვენი ჯარი ჩვენი მხსნელებიაო“. მათაც, როცა გაიგეს სახლების დაწვას ვკრძალავთ, გაუკვირდათ და ასე შეუწუხდენ: „მაშინ ხომ კიდევ მოვლენ აქ ის მხეცები“-ო. იქვე ქუჩაში ვნახეთ ძალზე ბებერი თათრის დედაკაცი, რომელიც მათ მოეკლათ. ამიტომ მეორე ადგილას ასეთ ბებერს ერთი გვარდიელი მივუჩინე, რომ ისიც არ მოეკლათ...

გავედით სოფელს იქით მაღლობზე და დავუწყეთ ბინოკლით თვალიერება მარცხნივ ჩვენი ხაზის მდგომარეობას. თფილისელები და კახელები უკვე შედიოდენ ჩვენ ქვემოთ ინჯისუზე მდებარე სოფ. კაიმახლუში, ხოლო მარცხენა კოლონა თვალით არ ჩანდა, მაგრამ სროლის ხმა გვამცნობდა არა მარტო იმას, თუ სად იდგნენ, არამედ იმასაც, რომ მტერი იქ ისევ მედგრათ იდგა, გაქცევაზე ჯერ არ ფიქრობდა. ეს არც გასაკვირალი იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ მათ წინააღმდეგ დღეს იბრძოლებდა საბჭოთა არმიის მე-32-ე დივიზიის ის პოლკი, რომელიც წინა დღის ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა, რომელიც რეზერვში იდგა სწორეთ იმ ადგილას, სადაც ეხლა გააფთრებული ბრძოლა იყო, ასლანბეგლის ხაზზე. მხოლოდ ღამის წყვდიადმა შესწყვიტა მათი მხრიდან ზარბაზნების გრიალი.

ჩვენ დავიჭირეთ სოფელს გაღმა მდებარე გორაკები და დავბინავდით იქვე. საბარგულეებს ისევ დავშორდით და ამიტომ ისევ გლახა მასპინძელი ვიყავით. მართალია, საკლავი საქონელი დაგვრჩა, მაგრამ პური და მარილი არსად იყო. თანაც მოიღრუბლა და ისევ საწვიმრათ დაემზადა. მიუხედავათ ამისა, გვარდიელები გამარჯვების გამო ხუმრობის გუნებაზე იყვნენ. გაჩაღებულ ცეცხლებთან აქ-იქ ხმებიც ააწყვეს და სიმღერა შემოსძახეს.

**ზ. დათიაშვილი.**

*) შემდეგში გამოირკვა, რომ მტრის ზარალი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ ჯეჯილი გვიშლიდა მათ ერთბაშად მიგნებას. **ზ. დ.**

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

**„ნაციონალისტური ალიაქოთი.“** „კომუნისტურ შრომის“ მე-18-ე ნომერში მოთავსებულია ა. ფ. ინიციალებით სტატია, შემდეგი სათაურით: „ნაციონალისტური ალიაქოთი“. სტატიის ავტორს არ მოსწონს „პრავდაში“ მოთავსებული ჩემი წერილი, რომელშიაც მე ალვნიშნავდი „პრავდაშივე“ მოთავსებულ სტატიის „ადერბეიჯანის რესპუბლიკის“ ავტორის უხეშ შეცდომებს. სთვლის რა სწორეთ ჩემს ზოგიერთ ფაქტიურ შენიშვნებს, სტატიის ავტორი მაინც უწოდებს იმათ ციფრებით თამაშს, მაგრამ რომ საქმე ციფრების თამაშში არ არის, არამედ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობის მქონე ფაქტების აღიარებაში, როცა ჩვენ ვუთითებთ იმ გარემოებაზე, რომ ადერბეიჯანის რესპუბლიკაში ადერბეიჯანელ-მუსულმან მრავალრიცხოვან გლეხობაზე და მუშებზე, ის ამაში ნაციონალისტურ ალიაქოთს ხედავს. მაგრამ თუ ეს ნაციონალისტური ალიაქოთია, მაშინ აუცილებლათ უნდა ამოიშალოს პროგრამიდან სიტყვები „ხალხთა თვითგანორკვევა“. ალბათ, ეხლა „კრაევოი“ კომიტეტში მომუშავე რუსი ამხანაგებიც იღებენ მონაწილეობას ნაციონალისტურ ალიაქოთში; ამ კომიტეტმა საჭიროთ დაინახა ეცნო ადერბეიჯანის რესპუბლიკა.

რამ აიძულა საოლქო კომიტეტი გადაედგა ეს ნაბიჯი იმ დროს, როდესაც ადერბეიჯანში ყველაფერი მზათაა შინაურ აჯანყებისათვის, როდესაც ჩვენ შეგვიძლიან ორ დღეში შევუერთოთ ადერბეიჯანი საბჭოთა რუსეთს? „კრაევოი“ კომიტეტის წინ იდგა ჩვენი შემდეგი მუშაობის საკითხი ძალთა განსაზღრულ განწყობილების დროს. ა. ფ. ამნაირ მოქმედებას ბურჟუაზიულ მანერას უწოდებს. ამ შემთხვევაში სულ მცირე არაგონებრივთა არ მიიღება მხედველობაში ძალა შეთანასწორებისა განსაზღვრულ დემოკრატიაზედ, სადაც თითქმის ორი წელიწადია არსებობს „პანისლამისტური რესპუბლიკა“. ჩვენი პარტია არა მარტო რევოლიუციონურია, არამედ მმართველი ორგანოც არის; არ არის საკმაო გქონდეს რევოლიუციონური სული, საჭიროა გქონდეს სახელმწიფოებრივი გონებაც, და აი საოლქო კომიტეტში მომუშავე ჩვენი რუსი ამხანაგების სახელმწიფოებრივმა გონებამ აიძულა ისინი ეთქვა: საჭიროა ცნობა ადერბეიჯანის რესპუბლიკისა არა იმიტომ, რატომაც ფიქრობს ა. ფ., არამედ იმიტომ რომ საოლქო კომიტეტი უფრო ფხიზლათ და გონივრულათ უყურებს საკითხს, და იმას აინტერესებს როგორც კავკასიის პროლეტარიატის, ისე მთელ ახლო აღმოსავლეთის ბედ-იღბალი.

დე, კარგათ ახსოვდეს ა. ფ—ს, რომ თუ ჩვენ აქამდის ბაქოში არა ვართ და ნავთის ნაკლებობას განვიცდით,—უმთავრესათ ეს იმნაირი პოლიტიკოსების ბრალია, როგორებიც არიან ა. ფ. და იმის მზგავსნი, რომლებიც არსებულ პირობებში, საერთაშორისო მდგომარეობის უარყოფით და დადებით მხარეების შეფარდებაში—არ სცნობენ ძალთა რეალურ განწყობილებას. **ნ. ნარიმანოვი** („იზვესტია“ № 83).

ასე სწერდა ნარიმან ნარიმანოვი ადერბეიჯანის შესახებ და ეკამათებოდა თავის რუს ამხანაგებს „თვითგამორკვევის“ გარშემო ჯერ კიდევ აპრილის 20-ში. რა დამტკიცდა? ის, რასაც ალბათ არ ფიქრობდა ბ-ნი ნარიმანოვი. არ უშველა ადერბეიჯანს „კრაევოი“ კომიტეტის ცნობამ. 27 აპრილიდან ადერბეიჯანის „თვითგამორკვევისაგან“ მხოლოდ მწარე მოგონება ღა დარჩა?..

**ეს არ უნდა ხდებოდეს!** ლიკინის ქარხანაში არსებობს მუშათა მომხმარებელი საზოგადოება, რომელიც სურსათსანოვაგეს უნაწილებს 8 ათას მუშახელს. ამ საზოგადოების გამგეობა და საკანტროლო საბჭო უპარტიოთაგან შესდგება, თებერვალში საზოგადოებამ მიიღო 8 ფუთი, 60 წყვილი მამაკაცების კალოშები, 20 გირ. თუთუნი და რამოდენიმე ასეული პაპიროსი. ყოველივე ეს მუშებისათვის უნდა დაერიგებინათ, მაგრამ გამგეობამ და საკანტროლო საბჭომ ერთმანეთს შორის გაანაწილეს ეს, და საქონელი ზოგიერთ თავიანთ „საყვარელ“ მუშებს მისცეს. („პრავდა“ № 85).

ან კა როგორ უნდა გაენაწილებიათ 8 ათასი მუშისთვის 8 ფუთი, 60 კალოში და 20 გირ. თუთუნი!..

(კერძო წერილიდან).

**სიძვირე ხარკოვში.** ხარკოვიდან გამოგზავნილ კერძო პირის წერილში, რომელიც ერთ-ერთმა ჩვენმა ამხანაგმა მიიღო, სხვათაშორის, შემდეგი სწერია: „მწერ ძალიან სიძვირე არის აქაო (ე. ი. თფილისში), აგაშენა ღმერთმა ძმაო, თუ მაგას სიძვირე ჰქვიოდეს. სიძვირე აქ არის, თუ არის! პური გირვანქა 240 მანეთი, ხორცი გირ. 450 მ., მარილი 300 მანეთი, ნავთი გირ. 370 მან., კარაქი გირ. 1000 მ., ნემსი ერთი ცალი 40 მ., ვაშლი (დამპარული) 200 მ., **ღმერთმანი** ეტლით ერთი „კანეცი“ 500—700 მ—ა., საათში 1500 მანეთი, ფეხსაცმელი ქალის (ტილოსი) 12,000—15 ათას მან., ტყავის უბრალო 15—25 ათასამდე, ბოლოკი კონა 150 მანეთი. კვერცხი ათი ცალი 400 მან., კოჭის ძაფი 800 მანეთი.

მერე შენ გგონია არავის არ აქვს შენსავით 2800 მანეთი ჯამაგირი თვეში? არამც თუ არავის, ძალიან ბევრსაც, გიმნაზიის მასწავლებელს 24 გაკვეთილში აქვს 4500 მანეთი თვეში. მდაბიო მსახურს 2100 მ. ამაზედ რას იტყვი? სად შათი ჯამაგირი და სად ჩვენი ფასები და სად შენი ჯამაგირი და მაქაური ფასები?!.“

მას შემდეგ, რაც ჩვენ საბჭოთა რუსეთის გაზეთებიდან ყოველდღე მოგვყავს ამის მსგავსი ცნობები, არა გვგონია ხარკოვის ფასებში ვისმე ეჭვი შეეპაროს...

## საბჭოთა რუსეთი და მუსტაფა-ქიამალ-ფაშა

9 ივნისის „პრავდა“-ში მოთავსებულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ჩიჩერინის შემდეგი ნოტა მუსტაფა-ქიამალ-ფაშასადმი.

„ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების პრეზიდენტს მუსტაფა-ქიამალ-ფაშას.

საბჭოთა მთავრობამ მიიღო თქვენი წერილი, რომელშიაც თქვენ სურვილს გამოსთქვამთ მუდმივი კავშირი დაიკავოთ საბჭოთა მთავრობასთან და მონაწილეობა მიიღოთ ბრძოლაში უცხო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ერთნაირათ ემუქრება ორივე ქვეყანას. საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს ოსმალეთის ახალ მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს,—მთავრობის, რომლის სათავეშიაც ანგორის დიდი ნაციონალური კრება სდგას; პრინციპები:

1) ოსმალეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

2) ოსმალეთის ფარგლებში ოსმალეთის ტერიტორიის უდავო ნაწილების მოქცევა.

3) არაბეთისა და სირიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ გამოცხადება.

4) გადაწყვეტილება დიდ ნაციონალურ კრებისა იმის შესახებ, რათა ოსმალეთის სომხეთს, ქურთისტანს, ლაზისტანს, **ბათუმის ოლქს**, ფრაკიას და იმ ტერიტორიებს, რომელზედაც შერეულათ ოსმალები და არაბები მოსახლეობენ,—მიეცეთ უფლება თითონ გამოარკვიონ თავიანთი ბედი. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ მხარეებში თავისუფალი რეფერენდუმი მოხდება ლტოლვილებისა და ემიგრანტების მონაწილეობით, რომლებიც თავის დროზე იძულებული იყვენ დაეტოვებიათ თავიანთი საცხოვრებელი ალაგები; რეფერენდუმი უნდა მოხდეს ამ ლტოლვილთა თავიანთ ალაგებში დაბრუნების შემდეგ.

5) ახალ ოსმალეთის ფარგლებში მყოფ ნაციონალურ უმცირესობათა ყველა იმ უფლებების აღიარება, რითაც სარგებლობენ ევროპის უფრო განვითარებულ და თავისუფალ სახელმწიფოების ნაციონალური უმცირესობანი.

6) სრუტეების შესახებ საკითხი უნდა განიხილოს შავ ზღვის ნაპირებზე მდებარე სახელმწიფოთა კონფერენციამ.

7) კაპიტულიაციისა და უცხოეთის ეკონომიურ კონტროლის მოსპობა.

8) უცხო სახელმწიფოების გავლენის სფეროს გაუქმება, როგორიც უნდა იყოს ეს გავლენა.

საბჭოთა მთავრობა იღებს ცნობათ დიდ ნაციონალურ კრების გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რათა ჩვენი მუშაობა და ჩვენი სამხედრო ოპერაციები იმპერიალისტურ მთავრობების წინააღმდეგ შეთანხმებული იყოს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების მაღალ იდეალთან. საბჭოთა მთავრობა იმედოვნებს, რომ დიპლომატიური მოლაპარაკება დიდ ნაც. კრებისა სამხრეთ-სპარსეთს შორის დაამყარებს ნამდვილ საზღვრებს მხარეთა შორის და დამკვიდრებული იქნება სამართლიანობისა და ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე. საბჭოთა მთავრობა მზათ იქნება იკისროს მოსაშუალის როლი, თუ კი ამას ისურვებენ დაინტერესებული მხარეები.

იმ მიზნით, რათა რუსეთსა და ოსმალეთს შორის დამკვიდრდეს მეგობრული დამოკიდებულება, მტკიცე მეგობრული ურთიერთობა, საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა დაუყონებლივ დაწყებულ იქნეს ორივე სახელმწიფოში დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობა. აღიარებს რა შეურყეველათ პრინციპს ხალხთა თვითგამორკვევისა, საბჭოთა მთავრობა მეგობრულ ხელს უწვდის მთელი ქვეყნის ყველა ხალხებს. ის დიდის ინტერესით ეგებება იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც ოსმალეთის ხალხი აწარმოებს თავის დამოუკიდებლობისათვის. დღეს, როდესაც ოსმალეთი განიცდის დიდ ტანჯვას, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულის სიხარულით ჰკრავს მეგობრულ კავშირს, რომელმაც უნდა შეაკავშიროს რუსეთისა და ოსმალეთის ხალხები.

გაცნობებთ რა ამას, ბ-ნო პრეზიდენტო დიდ ნაციონალურ კრებისა, მაქვს პატივი მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ხალხის სახელით ვუსურვო გამარჯვება ოსმალეთის ხალხს, რომელიც იბრძვის თავის დამოუკიდებლობისათვის.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **ჩიჩერინი**“.

## საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

**17 ივნისის საღამოს სხდომა.**

გრძელდება კამათი კონსტიტუციის შესახებ.

ეროვნულ უმცირესობათა საკითხზე მოხსენებას აკეთებს ცენტრ. კომიტ. სახელით **ლეო ნათაძე.**

საქართველო ეროვნული სახელმწიფოა. მცხოვრებთა 75 პროც. ქართულად მოლაპარაკენი შეადგენენ, მაგრამ ვინაიდან მართვა-გამგეობის სათავეში სოციალ-დემოკრატია სდგას, მან ეროვნულ უმცირესობებს უნდა გაუწიოს დიდი ანგარიში და რაც შეიძლება უკეთესათ უზრუნველჰყოს მათი უფლებები. ამ მხრით ცდა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ეროვნულ უმცირესობათა თვითმყოფ კულტურულ განვითარებას ხელი შეუწყოს, მაგრამ ამავე დროს კი სახელმწიფოს საერთო ინტერესები განსაცდელში არ ჩავარდეს. ამიტომ ეროვნული საკითხი მწვავე საკითხია. ამ საკითხის გადასაჭრელად არსებობს რამდენიმე სისტემა. ერთი სისტემა ხელმძღვანელობს ტერიტორიალურ პრინციპით, ამ პრიციპით ეროვნულ საკითხის გადაჭრა მოითხოვს, რომ ესა თუ ის ეროვნული უმცირესობა გამოყოფილ იქნას ტერიტორიალურათ და თავის ფარგლებში თვითონვე გაუძღვეს თავის საქმეს. საქართველოში ეს სისტემა გამოუდეგარია, რადგან არ არის ერთი კუთხე დასახლებული მხოლოდ ერთი რომელიმე ერით და თუ ასეთი გამოყოფვა მოხდა, ის ერთი, რომელიც გამოყოფილ ტერიტორიაზე უმრავლესობას შეადგენს, დასჩაგრავს იმ ერთს, რომელიც იქ შეადგენს უმცირესობას. მაგალითად ოსები მოითხოვენ ტერიტორიალურ ავტონომიას. მაგრამ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ისინი მოითხოვენ მრავლად ცხოვრობენ ქართველები, ქართველი ებრაელები. ამისთანა ადგილებში ტერიტორიალური სისტემა ერთა ურთიერთობას მხოლოდ გაამწვავებს. ამის გამო სოც.-დემ. პარტია წინააღმდეგია ეროვნულ უმცირესობათა ტერიტორიალურ გამოყოფისა. მეორე სისტემას—პერსონალურს ანუ ექსტერიტორიალურს ავტონომიას—დიდი გასავალი ჰქონდა ჩვენში, მაგრამ ცხოვრებამ—სინამდვილემ ცხადჰყო მისი უვარგისობაც. ამ სისტემის უმთავრესი დაბრკოლებები შემდეგია: როგორ უნდა შესდგეს პერსონალური ეროვნული კავშირი? ავტონომია გულისხმობს, რომ თუ ასეთ კავშირს საჯარო უფლებები უნდა მიენიჭოს, მაშინ სახელმწიფომ უნდა იცოდეს, ვინ შედის ამ კავშირში. ხოლო ამისთვის უნდა მოხდეს მცხოვრებთა რეგისტრაცია ეროვნულ ნიშნით. ამ რეგისტრაციის სისწორით გატარება ერთობ ძნელია, საჭირო იქნება სტატისტიკა, ისეთი, როგორიც არც ერთს ქვეყანას არა აქვს. ყოველ ნაბიჯზე მოხდება დიდი შეცდომები. ხოლო თუ ეროვნულ კავშირში შესვლა და იქიდან გამოსვლაც ნებაყოფლობითი, იქნება,—ის ნიშნავს საჯარო უფლებების დაკარგვას. ისეთი დიდი იურისტი, როგორიც არის იელინსკი, ამბობს, კავშირი კარგავს საჯარო უფლებებს, თუ იქიდან გამოსვლა ნებაყოფლობითიაო.

შემდეგ მომხსენებელი ეხება დამფუძნ. კრების საკონსტიტუციო კომისიაში წარმოდგენილ 8 „ეროვნულ“ უმცირესობის მიერ პროექტს და ამბობს, რომ ამათგან მხოლოდ ორია ნამდვილათ ეროვნული. დანარჩენებში კი არეულია ეროვნული, სარწმუნოებრივი, გვარტომობრივი და სხვა. სარწმუნოებრივ ნიადაგზე აგებენ კავშირს, მაგ. მუსულმანები და ებრაელები. სარწმუნოებრივ პრინციპით აგებულ კავშირზე დაყრდნობა დაუშვებელია დემოკრატიულ სახელმწიფოსათვის, რადგან ის კი არ უწყობს ხელს ეროვნულ კულტურულ ზრდა-განვითარებას, არამედ აბრკოლებს მას. ეროვნულობის ნიშნის შესახებ რამდენიმე თეორია არის, მაგრამ დემოკრატიისათვის ასეთ ნიშნათ მხოლოდ დედა-ენაა მისაღები. სამშობლო ენაზე სწავლის მიღება—არის ნიადაგი ეროვნულ-კულტურულ განვითარებისა. და ერთ კავშირში მოქცევა სხვადასხვა ეროვნების ენის ხოლო ერთი სარწმუნოების ხალხისა ხელს არ შეუწყობს, არამედ დააბრკოლებს ეროვნულ კულტურის განვითარებას და ეროვნულ საკითხის გადაჭრას.

ამნაირად ჩამოთვლილ პრინციპებით ეროვნულ საკითხის გადაჭრა მიზანშეუწონელია.

ცენტრალურ კომიტეტის მიერ წარმოდგენილ პროექტით ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებს საჯარო უფლებები არა სჭირია.

საერთოდ, თუ დემოკრატიულ სახელმწიფოს კონსტიტუცია განხორციელდა, ეროვნულ საკითხის საქმე უზრუნველყოფილია და წინ წაწეული. ხსენებულ პროექტით თემები ისე უნდა გამოიკვეთოს, რომ მათი მოსახლეობა ეროვნულად ერთნაირი იყოს. ეს საუკეთესო საშუალება იქნება. ეროვნულ საკითხის მკვლევარებმა თავდაპირველათ წამოაყენეს პრინციპი: თითო სახელმწიფოში თითო ერი; შემდეგ დარწმუნდნენ ამის შეუძლებლობაში და იმ აზრს დაადგენ, რომ სახელმწიფოს თვითეულ ნაწილში მოექციათ ერთი ეროვნება და მათ შორის ფედერატიული კავშირი დაემყარებინათ, შემდეგ დაადგნენ ეროვნულ ოლქების შექმნის აზრს (შპრინგერი, ბაუერი). ჩვენ საუკეთესო საშუალებათ მიგვაჩნია ეროვნულ წვრილ ერთეულების შექმნა.

შემდეგ ერთი ეროვნების თემები შეერთდებიან ერთად, თუნდაც ისინი სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილებში იყოს.

ამნაირად, სახელმწიფოს საქმე ექნება თვითმართველ ერთეულების საშუალებით ორგანიზაციულად მოწყობილ ეროვნებასთან. მეორეს მხრით ასეთი გზით ეროვნებას არსებითად უკანვე უბრუნდება საჯარო უფლებები. აქ მიღებულია სახეში კარგი მხარეები, როგორც ტერიტორიალურ სისტემის, ისე ექსტერიტორიალურისაც. საჯარო უფლებები მიენიჭება ეროვნულათ გამოკვეთილ თვითმართველ ერთეულებს. ამ ერთეულებს მიენიჭებათ უფლება ექსტერიტორიულად შეერთებისა.

შეიძლება ეროვნებათა ორგანიზაციის ასეთი სტრუქტურის წინააღმდეგ ბევრი რამ ითქვას, მაგრამ ამასთანავე არ უნდა გვავიწყდებოდეს სახელმწიფოს მოთხოვნილებანი და განსაკუთრებით სწავლა-განთლების ეროვნულ თემების კავშირი არ უნდა იქნეს მოსილი საჯარო უფლებებით, რადგან ეს დიდ არევ-დარევას შეიტანს სწავლა-განათლების საქმეში.

რაც უფრო წესიერად ამუშავდება თვითმართველობა, მის ხელში სავსებით გადავა სახალხო განათლების საქმე. საჯარო უფლებები რომ კავშირს მიენიჭოს, მაშინ სკოლებიც მათ უნდა გადაეცეს. და საშიშოა, ვაი, თუ კავშირი სათანადოთ ვერ გაუძღვეს სკოლებს. ამას გარდა დემოკრატიული პრინციპი მოითხოვს, რომ სკოლები გადაეცეს თვითმართველობებს და არა ეროვნულ კავშირს.

ამ აზრს სხვათა შორის შემდეგი მოსაზრებაც ამართლებს: შეიძლება რომელიმე თვითმმართველი ერთეული გაცილებით უფრო მაღლა იდგეს, ვიდრე მთელი კავშირი, და შეიძლება მას კონფლიქტი მოუხდეს მთელ კავშირთან. მაშინ გამოდის, რომ სახელმწიფომ ეს დაწინაურებული ერთეული უნდა მაინც დაუმორჩილოს ჩამორჩენილ ეროვნულ კავშირს, თუნდაც პირველს სწავლის ახალი, კარგი სისტემის შემოღება უნდოდეს და კავშირი კი ჩამორჩენილ სისტემის მომხრე იყოს.

ეროვნულ კულტურულ ავტონომიის დედა აზრით ეროვნულ კავშირთან უნდა შეიქმნას ცალკე ფინანსიური აპარატი დამოუკიდებელი სახელმწიფო ფინანსიურ აპარატისაგან, რაც ამ დარგშიაც გაართულებს და გააძნელებს სახელმწიფოს საქმეებს.

თუ ეროვნულ თემების კავშირმა დაამტკიცა, რომ ის კარგი ორგანიზაცია არის, მაშინ შეიძლება სახელმწიფოს ჰქონდეს მასთან ურთიერთობა, როგორც ცალკე დაწესებულებასთან, შეიძლება სახელმწიფომ მის განკარგულებაში გადასცეს თანხები კულტურის წინ წასაწევათ და სწავლა-განათლების უფრო მაღალ დონეზე ასაყვანათ. (ტაში).

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 ივნისი.

**ბალშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

დისნის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით ჩვენ სოფლები დავიკავეთ.

ჩვენმა ჯარმა სადგ. ბაბიჩს მიაღწია. მტერი თანდათან უკან იხევს. ჟმერინკის რაიონში ჩვენ ჟმერინკა დავიკავეთ.

**გერმანიაში.**

**ლიონი.** 20 ივნ. გერმანიის მთავრობის კრიზისი დასრულდა. კაბინეტის შედგენა ფერენბახს მიენდო.

**როდიჩევის მოლაპარაკება პოლონეთთან.**

**ოდესა,** ივნ. 19. როდიჩევი მოლაპარაკებას აწარმოებს პოლონეთის მთავრობასთან მის მიერ დაკავებულ რუსეთის ტერიტორიის რუსეთის საკუთრებათ გამოცხადებისა და ვარშავში დროებითი რუსეთის მთავრობის შედგენის შესახებ. ამავე დროს იგი მათ პირდება ახალი ძალების მიცემას ბალშევიკურ ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ფრანგული ცნობები.**

**საფრანგეთში და ალჟირში.**

ოფიციალურად გამოაქვეყნეს დეკრეტი, რომლის თანახმად საფრანგეთში და ალჟირში უცხოეთის ქაღალდის და ცელიულოზის შეტანა აკრძალულია.

**სურსათის გატანის აღკრძალვა.**

პრეტორიიდან მოსული ცნობების თანახმად სამხრეთ აფრიკის მთავრობამ აღკრძალა სურსათის და ნახშირის გატანა.

**ექსპორტი და იმპორტი.**

ეხლახან გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები მოწმობენ, რომ საფრანგეთიდან გამოტანამ მიმდინარე წელში შარშანდელს გადააჭარბა 3,854,500,000 ფრანკით, იმ დროს როდესაც შემოტანა გაიზარდა მხოლოდ 1,927,000 ფრანკით. შემოტანილი იყო მხოლოდ პირველი საჭიროების საგნები. სურსათის ყიდვა შემცირდა 109,000,000 ფრანკით.

**მოკავშირეთა თათბირი.**

ლოიდ-ჯორჯი, მილიერანი, მარშალი ფოში, ვენიზელოსი, ბალფური, ჩემბერლენი და მარშალი უილსონი ორშაბათს ბულონში მოვიდნენ. მათ ენტუზიაზმით შეხვდნენ.

**საყინულე საქმე.**

საყინულე საქმის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიაც შევიდნენ სუვერენულ სახელმწიფოსა და ახალშენების მთავრობის 42 წარმომადგენელი, შეიკრიბა პარიზში მიწად-მოქმედების მინისტრის თავმჯდომარეობით და გადასწყვიტა დაარსოს საყინულე საქმის საერთაშორისო ინსტიტუტი.

**ახალი წყალქვეშა ნავები.**

საფრანგეთის საზღვაო მინისტრმა პარლამენტში შეიტანა წინადადება 12 ახალი წყალქვეშა ნავის აშენების შესახებ.

## თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

ივნისის 22.

**პარიზი.** „ტანი" მოწინავე წერილში ადერბეიჯანის დაცემის მიზეზებს არკვევს. ის სისწრაფე, რომლითაც ბალშევიკებმა ადერბეიჯანი აიღეს, უპირველეს ყოვლისა საბჭოთა რუსეთის აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობით აიხსნება. რუსეთს, რაც არ უნდა ყოფილიყო, უნდა დაეპყრა ნავთის წყაროები. ამასთანავე, ადერბეიჯანის შინაგანმა რღვევამ გაუღო კარები რესპუბლიკაში წითელ ჯარებს. საერთოთ ბალშევიკების მიერ ადერბეიჯანის აღება სიმპტომატიურია: დაკარგეს რა რწმენა დასავლეთ ევროპასთან კავშირის დადგებისა და მისი დემოკრატიის კომუნისტური იდეებით გაჟღენთისა, ბალშევიკები აღმოსავლეთისაკენ გაეშურნენ. კავკასიაში ბაქო იყო ყველაზე უფრო სუსტი პუნქტი, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური მხრით. ქვეყნის შინაური მდგომარეობა და ნავთის წყაროებზე მომუშავე მუშების განწყობილება უზრუნველყოფდნენ ბალშევიკების გამარჯვებას. ადერბეიჯანის მთავრობა უკანასკნელ თვეების განმავლობაში ბალშევიკების აგიტაციას გულგრილად უყურებდა. ბალშევიკები სამ გაზეთს უშვებდნენ, რომელიც მცხოვრებლებს უფასოდ ურიგდებოდა. ბაქოში არსებობდა წითლების კლუბები, სადაც ხშირად ბანკეტები იმართებოდა. აქ ავრცელებდნენ ბალშევიკურ იდეებს. არ იყო დამოკიდებულება მოსკოვთან შეწყვეტილი. მთელი რიგი მაღალი თანამდებობისა რუსების ხელში იყო, რომლებმაც ფაქტიურად მთელი უფლება ხელში ჩაიგდეს, ვინაიდან თვით ადერბეიჯანელები ადმინისტრატიულ მართველობისთვის არ არიან მომზადებულნი. დიდი როლი ითამაშა აგრეთვე ნური-ფაშის საიდუმლო პოლიტიკამ, რომლის მიმდევრები ფიქრობდენ ბალშევიკების საშუალებით მოკავშირეების გეგმის ჩაშლას. წერილის ავტორი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ მოკავშირეთა მისიებმა კავკასიაში ადერბეიჯანის დაცემა ვერ შეაჩერეს შეიძლება იმიტომ, ამბობს ავტორი, რომ მისიებს შორის არ იყო შინაგანი კავშირი და თანხმობა და აგრეთვე არ იყო გათვალისწინებული ნათლად ადერბეიჯანის დაცემის შედეგი. წერილის უკანასკნელი სიტყვები ასეთია; ამდენხანს ბალშევიკები რუსეთის ტერიტორიის ფარგლებში რჩებოდენ. ადერბეიჯანის დაპყრობით ისინი საზღვარს გასცილდენ. რას უნდა ველოდოთ? ნუ თუ არ უნდა ვაღიაროთ ბოლოს, რომ ბალშევიკების წინსვლა არის წმიდა იმპერიალისტური პოლიტიკის განხორციელება?

**რომი.** იტალიის „საღამოს კურიერს" პარიზიდან ატყობინებენ, რომ ადერბეიჯანში ბალშევიკების გამარჯვების და საქართველოსთან ბალშევიკების ზავის დადების გამო, საფრანგეთმა შესცვალა თავისი პოლიტიკა ოსმალეთის საკითხში. განზრახულია ინგლისზე ზეგავლენის მოხდენა იმ მიზნით, რომ აიძულონ იგი საზავო ხელშეკრულებაში ოსმალეთის სასარგებლოთ ცვლილებები შეიტანოს და აგრეთვე ზოგიერთი კომპენსაციის მიცემა, რომ ამ გზით შეუშალონ ხელი ოსმალეთის ბალშევიკებთან შეთანხმებას.

**ლიონი** გაზეთებში გამოქვეყნებულია ლორდ კერზონისა და სერ რობ. სესილის შორის მიწერ-მოწერა, რამაც რუსეთის საკითხის შესახებ არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია. სერ რობერტ სესილი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ინგლისის მთავრობამ არ მიმართა წინადადებით ხალხთა ლიგას, რომ უკანასკნელს მიეღო ზომები პოლონეთის შეტევის შესაჩერებლად. პოლონეთის შეტევა არაფრით არ გამართლდება ვინაიდან მან საზავო მოლაპარაკება სრულიად უმიზეზოდ შეწყვიტაო. ლ. კერზონი პირიქით, პოლონეთის შეტევის საჭიროებას აღნიშნავს, ვინაიდან მის საზღვარზე საგრძნობი ბალშევიკების ძალები, ზარბაზნებით და სხვა საომარ მასალით იკრიბებოდაო. ლორდ კერზონი ფიქრობს, რომ პოლონეთის შეტევა ფაქტიურად არის შეუჩერებელ ომის ერთი ფაზა და ხალხთა ლიგას არ შეეძლო, რა თქმა უნდა, შიგ ჩარეოდა, ვინაიდან იგი საბჭოთა რუსეთში არავითარ ავტორიტეტით არ სარგებლობსო.

**ზანგიბასარი.** სომხეთის დიპლომატიური მისია იუწყება: უკანასკნელ დღეებში ოსმალთა აგიტაციის გავლენით ზანგიბასარის თათრები თავს დაესხენ სომხეთის ჯარის საყარაულო რაზმებს. მოკლულ იქნა 12-მდე, დაჭრილია—20-მდე. სომხეთის მთავრობამ აჯანყებულებს წარუდგინა ულტიმატუმი, რომ აუცილებლად დამორჩილდენ მთავრობის ძალა-უფლებას. თუ უარი განაცხადეს, აჯანყების ჩასაქრობათ გადამჭრელი ზომები იქნება მიღებული.

**სევასტოპოლი.** ქემალ-ფაშა შავი ზღვისაკენ მიემართება. მუსტაფა-ქემალს განზრახვა აქვს საბერძნეთს დაეცეს. მთელი ქვეყნის მუსულმანთა მიმართ გამოშვებულია მოწოდება საღვთო ომის დაწყების მოწოდებით.

**კონსტანტინოპოლი.** საბერძნეთის სააგენტო იუწყება, რომ მთავრობის ჯარებმა გაიმარჯვეს ნაციონალურ ჯარებზე. ქემალ-ფაშის ჯარები დამარცხებულია და უწესრიგოდ გარბის მთებში.

**კავკავი.** პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ ალმ. კომ. გადასწყვიტა აღკრძალოს ნიკოლოზის და სახელმწიფო სათათბიროს მიერ გამოცემული ფული. ის პირები, ვინც ამ ფულით ისარგებლებენ, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

## ახალი ამბები

**პურის მიღების წესი მუშათა მაგიდიდან.** შრომის და მომარაგების სამინისტროს მიერ შემუშავებულია შემდეგი წესი: თანახმათ ინსტრუქციისა, 1) მუშათა მაგიდიდან პურის გამოწერა შეიძლება იმ სიის მიხედვით, რომელიც შრომის სამინისტროს მიერ არის დამტკიცებული, 2) ორდერი მიეცემა სამი დღისათვის, ამასთანავე ღირებულება პურისა წინასწარ იქნება გადახდილი, 3) წარმოებები და დაწესებულებები, რომლებზედაც 5 ფუთი პურია მითვლილი, ორდერის მისაღებად უნდა გაერთიანდენ, ფული ერთად უნდა შეიტანონ და მიიღონ პური, 4) ორდერი ერთი დღის წინ მაინც უნდა იქნეს წაღებული. რწმუნებულებმა პური იმ ფურნეებიდან უნდა წაიღონ, რომელზედაც ისინი არიან მიწერილნი, 5) საჭირო ბლანკების მიღება შეიძლება მუშათა მაგიდიდან. ბლანკს კონტროლიორს თვით რწმუნებული წარუდგენს, 6) პურის მიმღებმა პირველ მოთხოვნილებისთანავე უნდა წარადგინოს საჭირო მოწმობები და პურის მიღების რწმუნება, 7) იმ შემთხვევაში, თუ პურს ვერ მიიღებენ ფურნის ადმინისტრაციის მიზეზით, მაშინ ასეთის მიღება მეორე დღეს შეიძლება, თუ კი პურს ვერ მიიღებს თვით მუშების მეოხებით, მაშინ რაციონი იკარგება, 8) ის პირები, დაწესებულებანი, ან წარმოებები, აგრეთვე მოსამსახურენი, რომლებიც მაგიდიდან მიღებულ პურს გაჰყიდიან, პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, თანახმად სპეკულიაციასთან საბრძოლველად გამოცემულ კანონისა. ის რწმუნებულები, რომლებიც ბოროტად მოიხმარენ წარმოებათა და დაწესებულებების ნდობას, ესე იგი სურსათს უდროვოდ მიაწვდიან, ან პურის რაოდენობას განგებ შეამცირებენ და სხ., დაისჯებიან სასტიკად თანახმად სამხედრო დროის კანონებისა.

**ფოილოს ხიდი.** 20 ივნისს თფილისიდან ბაქოში წავიდნენ ადერბეიჯანის წარმომადგენლები—ინჟინერი პიშკინი, გაიდაროვი, ვეისტი და ღამბაროვი, რომლებიც თფილისში მოვიდნენ ფოილოს ხიდის აღდგენის შესახებ მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკების დროს ადერბეიჯანის წარმომადგენლებმა წინადადება შემოიტანეს, რომ ხარჯები ორივე მხარემ იკისროსო. იმავე დროს აღიძრა საკითხი საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის კონვენციის შეკვრის შესახებ. 20 ივნისს აღძრულ საკითხების შესახებ რკ. გზის მართველობის საბჭოს დარბაზში ბ. ა. ჭიჭინაძის თავმჯდომარეობით და ადერბეიჯანის წარმომადგენლების თანდასწრებით შესდგა საგანგებო თათბირი. თათბირზე აღძრული იყო საკითხი იმის შესახებ, რომ მთელი ნავთი, რომელიც იმყოფება მილებში ბაქოდან ბათუმამდე და განსაზღვრული რაოდენობა ნავთისა იმ ფასით, როგორც ეს თვით უღირთ, მისცენ საქართველოს. დეტალურად ამ საკითხს ადერბეიჯანში განიხილავენ. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოსი ალშიბაია. მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ თფილისიდან წავიდა ნავთსადენის უფროსი ინჟინერი ოგანეზოვი და ექსპლოატაციის უფროსის თანაშემწე ბოჯერია.

**შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებამ** დაიწყო ქუჩების გაწმენდა მათხოვრებისაგან. დასახმარებლად მიწვეული არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მილიცია. წინადადებაა, რომ მუდამ ადევნონ თვალყური და არ იქნეს დაშვებული არა მარტო ბავშვების, არამედ დიდების მათხოვრობაც კი. ყველა მოზრდილი მათხოვრები გაიგზავნებიან მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში. შრომის უნარ მოკლებულთათვის თავშესაფარ პუნქტების დაარსებას აპირებენ. ამ ჟამად აშენებენ ქალაქის სახელოსნოებისათვის სპეციალურ სახლებს იმ პირებისათვის, ვისაც სრულიად არ დაუკარგავს შრომის უნარი, ფიქრობენ მოახდინონ ისეთი შრომის მონოპოლიზაცია, როგორიც არის მაგალ. ფეხსაცმელების წმენდა, გაზეთების გაყიდვა და ქალაქის ბუტკებში ვაჭრობა.

**სატარიფო პალატა.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა დაადგინა: იმ მუშებსა და მოსამსახურეთ, რომლებიც არ სარგებლობენ მომარაგების ფონდით, მიეცეთ განსაკუთრებული საჩუქრები. გადასწყდა მიეცეთ ყოველ დღე ხელფასის 25 პროც., მაგრამ დღეში არა უმეტეს 60 მანეთისა და არა ნაკლებ 30 მან., ანდა თვეში არა ნაკლებ 900 მან. და არა უმეტეს 1500 მან.

**ფეხსაცმელები.** სასურსათო განყოფილება სასახლის ქუჩაზე ფეხსაცმელის ახალ მაღაზიას ხსნის. გაიყიდება ფრანგული, ესპანური და ქალაქის კავშირის სახელოსნოებში დამზადებული ფეხსაცმელები. ამავე მაღაზიაში გაიყიდება სხვადასხვა ტყავეულობა.

**აქციზი თამბაქოს ნაწარმოებზე.** სააქციზო სამმართველოსთან შესდგა სხდომა თამბაქოზე გადასახადების გადასასინჯ კომისიისა, განიხილეს საკითხი სააქციზო გადასახადის საფუძვლების შესახებ. ფაბრიკების წარმომადგენლებმა წინადადება შეიტანეს არსებულ სისტემის შეცვლისა და ყოველ ფუთ დამუშავებულ თამბაქოზე აქციზის დაწესების შესახებ. კომისია ამ წინადადებას დაეთანხმა და განსაკუთრებული მცირე კომისია გამოყო ამ საკითხის დაწვრილებით დასამუშავებლად და თამბაქოს ნაწარმოების თვითღირებულების გამოსარკვევად.

**დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის სახელზე** ახალციხიდან შემდეგი დეპეშა არის მიღებული: მუსულმანების დიდ დღესასწაულზე, არმაზანბაირამზე მე მინარეთში ვიყავი და აგრეთვე დავიარე ახლო მდებარე სოფლები, რომ მივსალმებოდი მათ მთავრობის სახელით. ადგილობრივი მუსულმანობა აღფრთოვანებით ესალმება დამფუძნებელ კრებას და დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, უსურვებს მას გამარჯვებას. მცხოვრებლები მოუთმენლათ ელიან ბათომის დაბრუნებას და მუსულმანურ და ქრისტიანულ საქართველოს გაერთიანებას. ასეთია სურვილი მთელი ადგილობრივი მუსულმანობის და მათი ხელმძღვანელების იმამშენიმ-ბადურისა და დამფუძნებელ კრების წევრის ოსმან მიქელაძის. ხელს აწერს პლატონ მიქაბერიძე". მეორე დეპეშა, ოსმან მიქელაძის ხელის მოწერით: „დღეს დიდ დღესასწაულის არმაზან-ბაირამის დროს მინარეთში შეიკრიბა დიდძალი მუსულმანობა, სამაზრო კომისარი, ერობათა, ქალაქთა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ლოცვის დროს მოხსენებულ იქნა საქართველოს მთავრობა, რომელსაც ადგილობრივი მუსულმანობა სრულ ნდობას უცხადებს და უსურვებს საბოლოთ გამარჯვებას სამშობლოს საკეთილდღეოთ წარმოებულ მუშაობაში".

**ქალაქ სოხუმის შუამდგომლობა.** სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა სასურსათო საქმეების მოსაწყობათ ქალაქისთვის 4 მილიონ უპროცენტო სესხის მიცემის შესახებ. ქალაქი ითხოვს სესხს 2 წლის ვადით.

**წერა-კითხვის საზოგადოება.** დღეს, ოთხშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 7 ს. წ. კ. გ. ს. ბინაზე (დამფ. კრების ქ. № 5) დანიშნულია წ. კ. გ. ს. რწმუნებულთა წლიური მორიგი კრების გაგრძელება. განსახილველი საგნები; 1) 1919 წ. გამგეობის მოქმედების ანგარიში. 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ. 3) 1920 წ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში. 4) წ. კ. გ. ს. ახალი წესდების პროექტი.

**ხის ნახშირი.** ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მოაწყო ხის ნახშირის გაყიდვა 4 ადგილას: 1) საწყობებში № 1 ვერის დაღმართზე, 2) № 4 ვავზლის და ყვირილის ქ. ქ. კუთხეში. 3) ცენტრალურ საწყობში (სამხედრო ალრიცხვის ნაწილის უფროსის სადგომთან) და 4) № 9 ლერმონტოვის ქუჩაზედ № 3. ნახშირი ღირს საწყობში № 1 50 მან. ფუთი, დანარჩენ საწყობებში 60 მან.

**მინა.** ქალაქის სასურსათო განყოფილებამ შეიძინა დიდძალი ბემის მინა სხვადასხვა ზომისა. მინა იყიდება ყველა დაწესებულებაზედ და ორგანიზაციებზედ, აგრეთვე კერძო პირთა საჭიროებისათვის. ფასი—3 მან. 50 კაპ. კვადრ. ვერშოკზე დიდი ზომის მინებისთვის და 3 მან. კვ. ვერშ. პატარა ზომისა.

**ქალაქის მაღაზიები.** ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილების მიერ დასრულებულია გამოკვლევა ქალაქის მაღაზიების მოქმედების შესახებ მაისის განმავლობაში. გაყიდულია მანუფაქტურა $4^{1}/_{2}$ მილ. მან., სურსათი 5,070,000 მან. სულ ქალაქის მაღაზიებმა ცოტა მოგებით მაისის განმავლობაში 9.820,000 მან. მიიღო.

**ერობის გზები.** დამფ. კრების მიერ დამტკიცებულია პროექტი დეკრეტისა საჭირო თანხის გაღების შესახებ ერობის გზებზე მოსამსახურეთა დამატებითი ჯამაგირების მისაცემად. თანახმად დეკრეტისა სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთ...

ლებაში გადიდ...

შევიდა ძალაში ...

**გადასახადი** ...

ზე. კინო-თეატრების ...

ციამ სავაჭრო-სამრეწ...

საშუალებით შუამდგომლ...

შესახებ, რომ ყოველ ბილ...

დადებული განზრახული გად...

მანეთის რაოდენობით. შუამდგ...

ასაბუთებენ მით, რომ არსებული სახადები ბილეთების ღირებულებ... % ფარავს, და ვინაიდან ბილეთე... ფასი 35 მან. იწყება, ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ შემოღებული იქნება გადასახადი განზრახულ წესით, მაშინ დაფარული იქნება მთელი მოგება იაფფასიან ბილეთიდანო.

**დამზღვევი საზოგადოებანი.** ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ მიმართა შეკითხვით შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობოს, რომ დამზღვევ საზოგადოებათა საქმეების და მისი წესდების საკითხის განხილვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდეს თუ იგი უფრო მიზან შეწონილათ სთვლის ყველა ეს საკითხები ფინანსთა, ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროს გადაეცეს, რომელსაც ამავე დროს უნდა მიენდოს დამზღვევ საზოგადოებათა წესდების დამტკიცებასთან ერთად, მათ მოქმედებაზე ზედამხედველობის მოწყობაც.

**ზაფხულის დაწყებისთანავე** თითქმის ყველა სახლების ალაყაფის კარებთან და ქუჩების ჯვარედინებზედ ქალაქის გამგეობის ნებადაურთველათ სწარმოებს ხილით, ბოსტნეულობით, წყლით და სხვა ვაჭრობა, რაიც აჩენს ქალაქში უსუფთაობას და არღვევს არსებულ სავალდებულო დადგენილებებს. სასურსათო განყოფილება ამით აცხადებს, რომ ვინც ამ გაფრთხილების გამოცხადების დღიდან სამი დღის განმავლობაში არ შესწყვეტს ამ გვარ ვაჭრობას, დატუსაღებულ იქნება 3 თვემდე, ჯარიმის შეუცვლელათ.

**ქართული სამუსიკო საზოგადოება.** დღეს, 23 ივნისს, საღამოს 7 ს. ქართულ სამუსიკო საზოგადოების კრება არის დანიშნული. დღის წესრიგი: საზოგადოების კონცერტი, 2) საზოგადოების წლიური კრება, 3) განცხადება ზ. ფალიაშვილისა სახელმწიფო თეატრის შესახებ და 4) განცხადებები. (პეტრე დიდის ქუჩა, № 8).

**იარაღის ტარების მოწმობა** № 12,346 პარმენ შაამის ძე ლომინაძის სახელზე პატრონს შეუძლია მოიკითხოს ჩვენს რედაქციაში.

**სახალხო განათლების სამინისტრომ** ქალაქების და ერობის თვითმართველობებს ცირკულიარით აცნობა, რომ მიწათ მოქმედების სამინისტროს მიერ 25 ივნისს თფილისში რძის და მესაქონლეობის მეურნეობის ორ თვიანი პრაქტიკული კურსები გაიხსნება. ვინაიდან ამ კურსებს უაღრესი კულტურული მნიშვნელობა აქვს, სახალხო განათლების სამინისტრო სთხოვს თვითმართველობებს გააცნოს ხალხს კურსების მიზანი და მიიღოს ზომები, რომ ამ კურსებს მეტი მსმენელები დაესწროს.

**სოციალური დახმარება.** პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ 16 ივნისის სხდომაზე მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ მცხოვრებთა ყოველგვარი სოციალური დახმარება უნდა იყოს სოციალური დახმარების ცენტრალურ საზოგადოების ხელში, სადაც უნდა შედიოდეს თფილისში არსებულ სოციალურ დახმარების ყველა ორგანიზაცია.

**ფრონტისათვის.** სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურეთა 4 ივნისის საზოგადო კრებაზე ერთხმათ გადაწყდა გაიღონ ფრონტის სასარგებლოთ ერთი დღის ჯამაგირი სულ 19,660 მანეთი, რომელიც გადაეცა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტს.

**გორის ფონდი.** გაზ. „ერთობის" კანტორამ გორის ფონდს გუშინ ჩააბარა 30,000 მან. შემოწირულების მიღება გრძელდება.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ქუთაისი.** კვირას, 27 ივნისს, ქუთაისში დანიშნულია წ. კ. ს. ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

## აფხაზეთში

თფილისში ჩამოვიდა აფხაზეთის მიწად-მოქმედების სამინისტროს განყოფილების წარმომადგენელი, დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ი. ს. მესხმა განაცხადა: განყოფილება უკანასკნელ ხანებში აფხაზეთში აგრარულ რეფორმის გატარების საქმეს აწარმოებდა; წამლის მცენარეების შეკრების საქმის მოწესრიგებასა და სახელმწიფო მამულებს განაგებდა. დიდი ყურადღება მიქცეული კულტურულ ძვირფას ტყეების მოწესრიგებაზე. ყველა ამ მამულებში გაძლიერებული მუშაობაა, აქედან ნაწილის ექსპლოატაციის სახელმწიფო ახდენს, ნაწილი იჯარით არის გაცემული, ნაწილი კი ერობებს აქვთ გადაცემული. დიდ ყურადღებას ვაქცევთ სოხუმის განყოფილებას და ქიმიურ-ფარმაცევტიულ ფაბრიკას. აფხაზეთის კლიმატიური და სხვა პირობები დიდ იმედებს იძლევა წამლის მცენარეების კულტურის გაძლიერებისათვის. აგრარულ რეფორმის გასატარებლად მოწყობილია 10 რაიონ. კომისია, რომელმაც უნდა შეამოწმოს ძველი აქტები და უნდა იმოქმედოს დირექტივების თანახმად. ამავე კომისიამ უნდა გაანაწილოს მიწები, უმიწოსა და მცირე მიწის მეპატრონეებს შორის თუნდაც იჯარის სახით. აგრარული რეფორმა აფხაზეთში ცუდ პირობებში ჩატარდა, მაგრამ მიღებულია ზომები საქმის მოსაგვარებლად, გამომუშავებულია პირობები მცხოვრებლებზე ტყის მასალის უფასოდ გადაცემის შესახებ და სხ.

ტ...

გამ...

ლი ...

ჩვენი ...

ბასა და ...

საჩუქრ...

ში მოიყვანა.

დარჩენილთ ...

სწირავენ საჩუქ...

ამომტანთ. ჩვენ

კაცებმა განაცხად...

ბლომათ არიან და რი...

ხვიც უზრუნველყოფს

მრავალრიცხოვან მტრის

და ითხოვენ მოქმედ ფრონ...

გვეყვანეთო. ეფიცებიან ერთ... ...ი

დამფუძნებელ კრებას და მთავრ... ...ას.

წითელ არმიელებსა და ჩვენ ჯარს, რომელთა შორის ყოველმხრივი განსხვავება თვალში გეცემათ—მისვლა-მოსვლა არის დარიალში. წითელ არმიელები, რომელიც ლარსს იცავენ, მოდიან ჩვენებთან: სთხოვენ პაპიროსსა და თუთუნს და მათ შორის კეთილი განწყობილებაა. ჩვენი ჯარისკაცების თხოვნით მათაც მიუტანეთ საჩუქრები. გადავედით საზღვარზე. დიდის სიხარულით დაგვიხვდა იქ მდგომი რაზმი და განცვიფრებული დარჩენ, როდესაც ჩვენ მათ გადავეცით ლამაზი მატერიის პარკები, სადაც იყო თხილი, თუთუნი, სპიჩკა, პაპიროზი, ღვინო, საპონი, ნემსი, ძაფი და სხვა. გამოგვიცხადეს მადლობა, გამოგვკითხეს როგორ არის თქვენი რესპუბლიკის მდგომარეობაო და სთქვეს, რომ ყოველმხრივათ წესიერ რესპუბლიკის წინააღმდეგ ჩვენ ვერავინ ვერ ავვადებინებდა იარაღსაო. მათ შორის იყო ერთი არმიელი დუშეთელი გლეხი, რომელმაც წამოსვლის ხანს გვითხრა: აი ამათთან ვარ აგერ სამი თვე, და ერთი კვირაა ვაპირები წამოსვლას და თუ მიმიღო, ჩემს ქვეყანას მინდა ვემსახურო. გავიგე რა „ბედნიერება" ყოფილა საბჭოთა რუსეთში და ცრემლიანი შემოგვყურებდა, როცა გამოვბრუნდით და ჩვენებმა სიმღერა მორთეს.

გზებზე ტანკები ვნახეთ, რომელნიც აქეთ მოჰყავთ. კერძო პირთ და უსაქმო უცხოელთ აქ არ უშვებენ; სანაპირო რაზმები ფხიზლათ მუშაობენ. ოფიცრობა და სამხედრო წარმომადგენლები თავის სიმაღლეზე დგანან...

**ბარათი მეშვიდე პოლკის საყურადღებოთ.**

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი ამით აცნობებს მეშვიდე პოლკის შემადგენლობას, რომ კომიტეტმა იმ მიმართულებით, სადაც მეშვიდე პოლკი იდგა, საჩუქრები გაიგზავნა მემართა იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც მას ეცნობა გენერალურ შტაბისაგან, რომელმაც ვერ ივარაუდა წინდაწინ, რომ მეშვიდე პოლკი ერთი ადგილიდან მეორეზე იქნება გადაყვანილი, ხოლო საჩუქრები გაეგზავნა მეგვარეთა იმ რიცხვს, რომელიც მეშვიდე პოლკის მოსვლამდის იმყოფებოდნენ ფრონტზე, რის ოფიციალური საბუთები საქმეებში აქვს კომიტეტს.

ხოლო რაც შეეხება მეშვიდე პოლკს, მისი ახლანდელი გადაბანაკება გამორკვეული იქნება და დაუყონებლივ საჩუქრების დანაკლისს მიიღებენ, მეომართა რაოდენობის მიხედვით.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.

## საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადო კრება

კვირას, 20 ივნისს, ქალთა საბებიო ინსტიტუტის შენობაში გაიხსნა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრებაზე ჯერჯერობით გამოცხადდა სამოცდა ათამდე წევრი. სხდომა გახსნა გამგეობის თავმჯდომარემ ექ. მ. ფ. მგალობლიშვილმა, მიესალმა ყრილობას და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. თავდგირიძე, მდივნად კ. აბაშიძე.

კრებამ მოისმინა და ერთხმად მიიღო გამგეობის მიერ წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი. პირველი დღე კრებამ მოანდომა გამგეობის მოხსენებას მთავარ სამმართველოს წლიურ მოქმედების შესახებ და სარევიზიო კომისიის მოხსენებას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიში. შემდეგი სხდომა დანიშნულია იმავე შენობაში 21 ივნისს, საღამოს 7 ს.

## შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნები

(მგზავრის წერილებიდან)

I

მოგზაურობა საქართველოდან შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში ზღვით დღევანდელ პირობებში ისეთივე ძნელი საქმეა, როგორც ჩინეთის ბოგდიხანის ნახვა წინათ.

იქნება საქართველოდან კიდევ ვისმე დასჭირდეს იმ გზით გავლა და ვიდრე დავიწყებდე აღწერას ყოველივე ჩემგან ნახულს გზა და გზა, საჭიროთ ვთვლი ზოგი, სასარგებლო ცნობები მივაწოდო მათ, ვინც მოისურვებს აქეთკენ გამომგზავრებას.

...ლში

... დაუფა-

...კს მგზავრს,

...ხვები თვეობით

...კობით ვიზა ორ-სამ

...ქებულია ხოლმე.

...ც მზათ არის და დიდ „ლოიდ-

...ტინოს" გემზე მივემგზავრები იტა-

...ლიისკენ.

პირველ ხანათ ვაპირებდი პირდაპირ პორტსაიდისკენ გამგზავრებას, მაგრამ ჩვენი მისიის რჩევით იტალიისაკენ ვიბრუნე პირი.

სამი დღე ყოფნა ზღვაზე იტალიის ნაპირებამდის, არ არის დიდათ საინტერესო. დარდანელი ღამით გავიარეთ. მხოლოდ მესამე დღეს ვიწრო ხელოვნური არხით ვამოკლებთ ერთი-ორი დღით გზას. არხი აერთებს ეგეის ზღვას ადრიატიკის ზღვასთან. არხი 6—8 ვერსია სიგრძით, სიგანით კი იმდენათ ვიწროა, რომ ჩვენი გემი ძლივს ეტევა. ორასი საჟენი სიმაღლის მთა არის გაჭრილი. ამ ხელოვნური არხით გემი ერთი-ორი დღით ადრე აღწევს თავის დანიშნულებას და საბერძნეთსაც კარგ შემოსავალს აძლევს.

ღამე ბრინძიში ვიყავით, გადავწყვიტე დავუცადო აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გემს „აფრიკას".

ბილეთი ნაყიდი მაქვს, მაგრამ კაბინი ჯერ არ არის აღნიშნული და ეს ცოტათი მაღელვებს, ვაი თუ გემზე არ მიმიღონ, ადგილების უქონლობის გამო.

იქვე ნაპირზე გავიგე, რომ ოთხი დღე უნდა ვუცადო. მეტი გზა არ იყო, ჩამოვხტი სასტუმროში და მოთმინებით ადვიჭურვე.

ბრინძი ძველი იტალიის ქალაქია. ჯერ კიდევ რომაელთა მეფობის დროს, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც უახლოვეს ნავთსადგურს ახლო აღმოსავლეთთან საქმის დასაჭერათ და მერე საბატონებლოთაც.

რომიდან თვით ბრინძამდე განთქმული საისტორიო გზატკეცილი იყო გაყვანილი მშვენიერი ნავთსადგური, ადვილათ დასაცავი ზღვის ყაჩაღებისაგან ხელს უწყობდა ბრინძას. რამდენიმე კალონა ეხლაც აგონებენ ადამიანს იმ წარსულ დიდებას.

მერე საშუალო საუკუნეებში ვენეციამ სძლია ვაჭრობით ამ ქალაქს, რომელსაც პატრები დაეპატრონენ. ათიოდე დიდი საყდარი საშუალო საკუნოების სტილით აშენებული მოწმობენ მათ ბატონობას, ეხლა კი ერთ-ერთ პატარა სამაზრო ქალაქთაგანია და ცოტა გამოცოცხლდა ევროპის რკინის გზების აშლა-დაშლის გამო.

იტალიის ერთ ერთი ფლოტი ბინადრობს იქ, და ამით ადრიატიკის ზღვას იტალიის შიდა ზღვათ ჰხდის.

ბრინძაში პატარა მუზეუმიც მოიპოვება, რომელიც ძველ საყდარშია მოთავსებული.

ცხოვრება იაფია. საქონელიც გაცილებით დიდათ იაფია ვიდრე კონსტანტინოპოლში და ბათუმში. მშვიდი, მყუდრო, სუფთა ქუჩები. მხიარული ხალხი.

მხოლოდ უცხო შეიძლება სიმშილით მოკვდეს, თუ ვერ შეეთვისა ტრადიციონურ მაკარონს.

ოთხი დღის ლოდინის შემდე, აგერ უშველებელი „აფრიკაც" მოადგა ნაპირს.

ჩემი შეწუხება გამართლდა, ადგილები უკვე ყველა დაკავებული იყო, მაგრამ ხელზე ბილეთის ქონა ამ შიშველა და ბევრი უსიამოვნების შემდეგ, ერთმა მოსამსახურეთაგანმა დამითმო თავის კაბინი 80 გირ. სტერლინგათ. ეს ჩემს ბიუჯეტს საშინელ დალს აჩნევდა, მაგრამ ნაპირზე ერთ თვეს ცდას ეს ხარჯი ვარჩიე. მოვეწყვეთ 22 მარტს დილის 7 საათზე გზას გავუდექით.

„აფრიკა" უშველებელი გემია. 10,000 ტონის აწევით. სისწრაფით მაინცა და მაინც ვერაფერი შვილია. 12—13 მილს მისცურავს საათში.

მოწყობილობით მშვენიერია.

მთელი თვე ნახევარი უნდა ვიცხოვრო ამ გემზე!

გემმა პორტ-საიდს გაუსწორა გეზი და მგზავრები დღეობით ითვლიდენ გზას. შავ ფიცარზე ეწერა: 944 მილი—დღე და ღამეში გავიარეთ, 278 მილი, მეორე დღეს, 270 და ასე.

მეოთხე დღეს გამოჩნდა პორტ-საიდი, თავისი მშვენიერი არხ-ნავთ-სადგურით, ლესეფსის ძეგლით, მაღალი, ლამაზი შენობებით.

სამოცი წლის წინათ იმ ადგილს, სადაც ეხლა სუეცის არხი იწყება, უდაბნოს ქარი დანავარდობდა და გაშმაგებული ტალღა სცემდა ქვიშიან ნაპირს...

ინჟენერ ლესეპსის დაუღალავ ენერგიის მეოხებით ევროპა დარწმუნდა, რომ შესაძლებელია არხის გაყვანით ინდოეთის გზა მთელი ერთი თვით შემოკლდეს და მასთანვე, მთელი შორეული აღმოსავლეთი ევროპამ მახლობელ მეზობლათ გაიხადოს.

შესდგა აქციონერთა საზოგადოება.

[illegible] ...ინდოეთ-ჩინეთიდან ჩინეთი, იაპონია, ავსტრალია და ოკეანეთი ათჯერ გაცილებით ადვილად აწვდიდნენ საქონელს ევროპას. ამის გამო საქონელი გაიაფდა, მრეწველებმა საოცარი ზღაპრული სიიაფით განთქმული საქონელი გამოუშვეს ბაზარზე. ამ უკანასკნელ დიდ ომიანობის დროს სუეცის არხმა ხომ პირდაპირ დამხსნელი როლი ითამაშა ინგლის-საფრანგეთისთვის. ყოველივე ნედლი მასალა, რომელიც დარდანელ-ბოსფორის დაკეტვით და ჩრდილო დეპარტამენტების დაჭერით გერმანელების მხრივ შემოაკლდათ, როგორც ქვა-ნახშირი, მარგანეცი, ნავთი, სპილენძი, პური, ტყავი და სხვადასხვა, ცოტა ზედმეტი ხარჯით, მაგრამ მაინც მოდიოდათ მათ და თავიანთ საჭირო სამხედრო წარმოებისთვის არა დაჰკლებიათ რა.

ინგლისმა ხომ მხოლოდ სუეცის არხის შემწეობით შესძლო ასე სისწრაფით გამაგრება და დაჭერა ეგვიპტისა, არაბეთისა და მისივე შემწეობით მოჰყავდა ევროპის ომის ასპარეზზე ინდოელთა ჯარი და მისივე შემწეობით ბოლო მოეღო აზიის წინა მხარეში გერმანიის ბატონობას.

ომი გათავდა, მაგრამ სუეცის არხის მნიშვნელობა უფრო გაიზარდა. დაუძლურებულმა ევროპამ ხომ ვერ შესძლო თავის მრეწველობის სწრაფათ დემილიტარიზაცია, ვერ შესძლო გალატაკებულ ხალხისთვის მიეწოდებინა საკმარისი საქონელი უპირველეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და აქ ამავე არხის შემწეობით განუწყვეტლივ ეზიდებიან იაფათ და სისწრაფით აღმოსავლეთიდან ყოველივე საქონელს: ფართლეულობას, ფეხსაცმელს, წამლებს, პურს, ბამბას, კაუჩუკს, ტანსაცმელს, ნამეტნავად ნედლ მასალას, რომელიც განუწყვეტლივ სამოქალაქო ომის გამო, რუსეთში და თურქესტანში მთლად შემოაკლდა ევროპას. აი ასეთია სუეცის და პორტ-საიდის მნიშვნელობა. ასობით გემები, შავი ქვის ნახშირის ბოლი. სიმღერით შავ-კანიანების მუშაობა, აღებ-მიცემობა, აი მოკლეთ პორტ-საიდის სურათი.

„აფრიკამ“ ნახშირის მიღება დაიწყო და ნაპირს გადაველ ქუჩებში გასასვლელათ. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა! ექვსი თვის წინად ჩემი აქ ყოფნის დროს პორტ-საიდის მაღაზიები მხოლოდ ევროპიული საქონლით ვაჭრობდნენ.

ეხლა კი პორტ-საიდის ქუჩებს, მაღაზიებს დაპატრონებოდა იაპონიის კოლორიტი—აღმოსავლეთის ელფერი გამოფენებზე, იაპონიის საქონელი ყველა ვაჭრობის დარგში. შეველ რამდენიმე მაღაზიაში. ფართლეულობა სულ იაპონურია, გარდა ჩითეულობისა. ტანისამოსი, სარეცხი აბრეშუმეულობაც, წვრილმანიც, საზაფხულო ფეხსაცმელი სულ იაპონურია, მხოლოდ ტყავის ფეხსაცმელი სჭარბობს ინგლისიური და პარფიუმერია საფრანგეთისა.

მაგრამ მაღაზიების ელფერი-კოლორიტი როგორც უკვე ვსთქვი, აღმოსავლეთურია. ვიფიქრე: თუ ასეთი ნაბიჯით არა, იაპონიის ვაჭრობამ ბაზრების დასაპყრობლად ჩემს ჩამოსვლამდე კონსტანტინოპოლსაც დაეპატრონებიან და მის საფრანგეთის ელფერს შესცვლიან აღმოსავლეთის აჭრელებული ელფერით!.. მაგრამ ამისდა მიუხედავათ ვერ შევატყვე იაფობა იმასთან შედარებით, რაც წინათ იყო. მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ევროპის სახელმწიფოთა ფული განურჩევლად, თვით ინგლის-საფრანგეთის კურსი ფულისა ისე დაეცა აღმოსავლეთის, როგორც ჩვენი ბონები ფულთან შედარებით, ინგლისის გირ. წინაშე, თუ შედარებით ვილაპარაკებთ.

მაგრამ თუ ჩვენ იმით ვიმედოვნებთ და ვიცით კიდევაც, რომ ჩვენი ახალგაზრდა ჯერ გაუმაგრებელი სახელმწიფოს ბონების დაცემა ბუნებრივია, ესევე არ შეიძლება ითქვას ძველ ბატონზე—ინგლისზე.

მაგრამ, ვგონებ, ეკონომიური ძირითადი კანონები არ სჯერდებიან მის სახელს და თავის ულმობელ კანონებს უკარნახებენ ყველას,—ბატონია იგი, თუ დავრდომილი!..

26 მარტს, დილის 10 საათზე ნელა ვიწყეთ არხის გავლა. გემზე არხის გამგეობის ლოცმანია ეხლა ბატონათ და ის უჩვენებს გზას. ორივე მხრიდან მშრალი, ცხელი უდაბნო მოჰყვება არხს. მხოლოდ ნაპირ-ნაპირ მოსჩანს პალმები, რომლებიც იფარავენ არხს ქვიშისაგან ქარის მხრივ მონაქროლს უდაბნოებიდან.

შუა მანძილზე გვხვდება რკინის გზის სადგური, საიდანაც იწყება სირიისკენ მიმავალი რკინის გზის ლიანდაგი და სადაც ინგლისელებმა შეჰქმნეს ბაზა, გერმანეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ სირია-პალესტინაში სამხედრო მოქმედების დროს.

უშველებელი სამხედრო მასალა,—ათასობით ზარბაზნები, ორთქმავალები, სურსათი, აქლემები, ჯორები და სხვადასხვა შავ კანიანი ჯარები ეხლაც აკვირვებენ მგზავრებს.

საღამოს იწყება მთელი ტბების სისტემა, რომლითაც უდევს გზა არხს და ათ საათზე საღამოთი არხიდან გაველით კიდეც. არხის სიგძე 150 მილს აღემატება—სიგანით სამი დიდ გემის სამყოფია, ასე რომ, ორივ მხრიდან სწარმოებს მოძრაობა. [illegible] ლამაზი სადგური, [illegible] სიძლიერე და [illegible] ფარაონების მეფობა [illegible]. სუეცის არხი [illegible] ერთ ერთ დიდებულ [illegible] შემოქმედების ძალის [illegible] მოხმარებისა.

არხის გათავების ადგილას გაშენებულია პატარა ქალაქი სუეცი, ისეთივე ლამაზი და კოხტა, როგორც მთელი არხი და აქედან იწყება განთქმული ისტორიაში წითელი ზღვა, სადაც საშინლათ ცხელა და ზღვა სავსეა გაუმაძღარ, მეზღვაურთაგან მძულვარე თევზ აკულებით.

ლოცმანი ნავში გადაჯდა, გემმა ერთი იბღავლა და გეზი მასსაუს, იტალიის კოლონიის ერიტერიის სატახტო ქალაქს გაუსწორა. შავ ფიცარზე ეწერა: 968 მილი.

**დათიკო ივ. როსტომაშვილი.**

წითელი ზღვა, გემი „აფრიკა“.
30 მარტი, 1920 წ.

## მასწავლებელთა საყურადღებოთ

კარგა ხანია გამოირკვა, რომ ჯამაგირების მომატება ვერ დაეწევა ფასების ზრდას პირველ საჭიროების საგნებზედ. ეს გარემოება აუტანელ პირობებში აყენებს იმ პირთ, რომელთა ერთად ერთი შემოსავალი ჯამაგირია. ამიტომ შრომის სამინისტროსთან მოეწყო მუშათა მაგიდა, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ურიგებს სურსათ-სანოვაგეს ძალიან იაფ ფასებში, ე. ი. ჯამაგირის ნაწილს ყველა მუშა-მოსამსახურე იღებს ნატურით სახელმწიფოსაგან. ამ პირობებში ფასების ზრდას იმდენი გავლენა აღარა აქვს მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტზედ. სამწუხაროთ, სახელმწიფოს დახმარებით სარგებლობს მხოლოდ ტფილისის და ზოგიერთ სხვა ქალაქების მუშა-მოსამსახურენი. დაბა-სოფლებში მცხოვრები სახელმწიფო მოსამსახურენი კი მოკლებულნი არიან ასეთ დახმარებას და მათ არც ჯამაგირი ემატებათ. ასეთ პირობებშია მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა. მუშათა მაგიდას არ შეუძლია მიაწოდოს მათ დახმარება ისე, როგორც ეს ქალაქებში მოეწყო. სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირი იმდენს ეცადა, რომ მოახერხა და ამ 4—5 თვის განმავლობაში ერთხელ დაურიგა მასწავლებლებს ცოტაოდენი ფართალი, შაქარი და ბრინჯი. კავშირის საბჭოს რომ საამისო თანხა ჰქონებოდა, მას შეეძლო ყოველთვიურად მოეწოდებინა წევრთათვის ხვედრი რაციონი ერთ-ნახევარი მილიონი მანეთის სურსათ-სანოვაგე, რომელიც დაურიგდა მასწავლებლებს, გამოვიტანეთ მუშათა მაგიდისაგან ნისიათ ერთი თვის ვადით განათ. სამინისტროს გარანტიით. მიუხედავათ იმისა, რომ ამას ძალიან ბევრი დრო და ხარჯები უნდა, (საქონლის წასაღებათ ჩამოსულ ამხანაგებს უხდებათ ტფილისში ცდა 10—15 დღე), დღეიდან ესეც შეუძლებელი ხდება. ნისიათ სურსათის მიღება და საამისო გარანტიის გამოტანა საიდანაც ჯერ არის გასაჭირდა. ყოველივე ეს გაითვალისწინა სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭომ და გასულ კონფერენციას წარუდგინა მასწავლებელთა კოოპერატივის პროექტი, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული. ამ პროექტით ტფილისში არსდება მთავარი საწყობი, საიდანაც პროვინციელ ორგანიზაციებს სისტემატიურ-დ დაურიგდება მუშათა მაგიდიდან, მომარაგების სამინისტროსაგან, თუ კერძო ფირმებისაგან შეძენილი სურსათ-სანოვაგე. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივს ექნება 3—4 მილიონი თანხა. ეს კი შესაძლებელია, თუ მასწავლებლები მოისურვებენ. მთავრობამ გადასწყვიტა მიეცეს მუშა-მოსამსახურეებს ერთდროული დახმარება 3,000 მანეთამდე. აი ამით უნდა ვისარგებლოთ მასწავლებლებმა და უცბად შევქმნათ საჭირო თანხა. ამისათვის აუცილებელია სამაზრო და საქალაქო კავშირთა გამგეობებმა სთხოვონ დეპეშით განათლების სამინისტროს, რომ ამ ერთდროული დახმარებიდან დაუჭიროს ყოველ მასწავლებელს 1000 მან. და გადასცეს ის სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს. დეპეშა უნდა გამოიგზავნოს განათლების სამინისტროს სახელზე დაუყონებლივ, სანამ სამინისტრო კრედიტს გაუხსნიდეს ერობებს და ქალაქებს, ე. ი. 20—25 ივნისამდის. ამ ათასი მანეთიდან 500 მან. გადაირიცხება მასწავლებელთა კოოპერატივის საპაიო თანხად. მეორე 500 მანეთი კი იქნება ავანსი და იმით შეძენილი სურსათ-სანოვაგე დაუყონებლივ დაურიგდება წევრებს უფასოთ. საპაიო თანხით შეძენილი საქონელი კი რა თქმა უნდა, გაიყიდება წევრებზე არა უმეტეს 5 პროც. მოგებით, რაც მოუნდება ამ დიდი საქმის მოწყობას და გაძღოლას.

მართალია, 1000 მან. გაღება ერთდროულათ ღარიბი მასწავლებლებისათვის ძალიან ძნელია, მაგრამ სხვა გზა არ არის. ვისაც უფრო უჭირს, ის უმალ უნდა დათანხმდეს ამაზე.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ იმ მაზრის და ქალაქის მასწავლებლებმა, საიდანაც ზემოდ ნაჩვენები შინაარსის დეპეშა არ მოუვა სამინისტროს, შეიძლება აწი ვერავითარი სურსათ-სანოვაგე ველარ მიიღონ.

**სრ. საქ. მასწ. საბჭოს აღმასრულებელი ბიურო.**

## ს. დ.-პარტიაში

**ბორჯომი.** პირველ ივნისს მოხდა ბორჯომის რაიონის ს. ს. დ. მ. პარტიის წევრების შეერთებული საზოგადო კრება ამხ. ჩაჩუას თავმჯდომარეობით და ამხ. ჩიხლაძის მდივნობით. კრებაზე გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) განხილვა კოლექტივის 31 მაისის დადგენილებისა, ადგილობრივ პარტიულ და პოლიტიკურ მუშაობის შესახებ. 2) კოლექტივის სარევიზო კომისიის მოხსენება ანგარიშებზე. 3) ახალი კოლექტივის არჩევნები.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს კოლექტივის თავმჯდომარე ამხ. კ. შახნაზაროვი.

პოლიტიკური და პარტიული შეგნების ადგილობრივ მუშაობაში მაღლა ასაწევად ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მიღებულ იქნას შემდეგი ზომები:

მან, კოლექტივის სახელით, ჩამოთვალა მთელი რიგი ზომებისა. რომელთა მიღებაც აუცილებელია ადგილობრივ პარტიულ და პოლიტიკურ მუშაობის გასაცხოველებლათ: დანაწილება იაჩეიკებათ მუშებისა სამუშაო დარგის მიხედვით და ამ იაჩეიკებში ხშირი მსჯელობა სხვადასხვა პოლიტიკურ და პარტიულ საკითხებზედ; მოსაუბრეთა წრის დაარსება, რომლებიც შეეხებიან სადღეისო საჭირ-ბოროტო საკითხებს—პოლიტიკურ-ეკონომიურ, პარტიის და ორგანიზაციის საკითხებს; გაჩაღება მუშაობის ადგილობრივ სახალხო სახლში და უნივერსიტეტში გამგეობის მიერ, კითხვა ლექციებისა სხვადასხვა მეცნიერულ დარგებიდან.—ყველა ეს ზომა კრებამ ერთხმად მიიღო.

მეორე კითხვაზედ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. ლუკა ანდღულაძე. ანგარიშები იქნა მიღებული მთლიანად, მხოლოდ რადგანაც მოხსენებიდან აღმოჩნდა კოლექტივის შესავალ ფულებიდან რამოდენიმე პირზედ არის დარჩენილი, ამისათვის დაადგინეს, დაევალოს ახალ კოლექტივს მისცეს ოფიციალური წინადადება იმ პირებს, რომელზედაც დარჩა ვალი, თუ არ გადიხადეს, იმის შემდეგ უფლება ეძლევა კოლექტივს პრესის საშუალებით გამოცხადდეს პარტიის გარეშე.

მე-3) ახალ კოლექტივში იქნა არჩეული შემდეგი პირები:

1) კოლია შახნაზაროვი, 2) იუსტინე ჩაჩუა, 3) აკაკი ჩიხლაძე, 4) გიორგი ელისაშვილი, 5) სიკო ჩუხრუკიძე, 6) გასიტაშვილი. კანდიდატებათ: 1) ღლონტი გრიგოლ, 2) მიხა კანდაუროვი და 3) ვანო დავითიანი.

**კ. დინჯაძე.**

## მუშათა შორის

**ქალაქის საერთო სავათმყოფო კასა.**

20 ივნისს შრომის კომისარის ელბაქიანის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის სავათმყოფო კასის რწმუნებულთა კრება. პირველათ მოსმენილ იქნა შემოსავალ-გასავალი კასის 5 თვის განმავლობაში. მოხსენება დადასტურებულ იქნა, მხოლოდ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომ ყოველივე ანგარიში და აგრეთვე მოხსენებები წინასწარ უნდა ეგზავნებოდეს წევრებს გასაცნობათ. დადგენილ იქნა, მთელი თანხა კასისა ინახებოდეს კოოპერატიულ ბანკში.

ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშათა წარმომადგენელი აცნობს კრებას, რომ ამ ქარხნის ადმინისტრაცია უარს აცხადებს აღმოუჩინოს მუშებს საექიმო დახმარება. შრომის კომისარი აცხადებს, რომ მიღებულ იქნება ზომები ამ არა ნორმალურ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად. სავათმყოფო კასის მდივანი დერკოვსკაიას ასული აკეთებს მოხსენებას 1920 წლის მეორე ნახევრის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. თანახმად სტატისტიკური ცნობებისა სავათმყოფო კასაში პირველ ივლისამდე ყოფილა 4500 წევრი (ამ ჟამად 3800 წევრია, მაგრამ ყოველ დღე ახალი წევრები ემატება) მათ შორის 60 პროცენტი მამაკაცები არიან, 40 პროცენტი დედაკაცები. მამაკაცების საშუალო დღიურ ხელფასს თუ ვიანგარიშებთ 120 მანეთს, მაშინ ექვსი თვის განმავლობაში კასაში გადასახადი შემოვა 2,590,000 მანეთი. დედაკაცის დღიური ხელფასი 90 მან. 6 თვეში შემოვა კასაში 1,215.000 მან. სულ 6 თვეში 3,645,000 მან. ნავარაუდევია ხარჯები 2,721,500 მან. ეს ხარჯები ხესდგება: ავათმყოფების დახმარება, მშობიარობა, უბედური შემთხვევით დასახიჩრებულთა დახმარება, დამარხვა და სხვ. კასის მესანახად საჭიროა 448,150 მანეთი, აქედან 25,000 მანეთი გადადებული არის ბიბლიოთეკის შესაძენად. მთელი ხარჯები წლის ბოლომდე ნავარაუდევია 3,209,650 მან. ამ ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად პირველ იანვრისათვის 1921 წ. დარჩება კასაში 435,350 მან. და აგრეთვე დარჩენილი სათადარიგო კაპიტალი. თუ ვინიცობაა ეპიდემია გავრცელდა, განზრახულია გადასდონ 728,000 მან. რაც შემოსავალს აღემატება 292,650 მან. და ეს ხარჯი დაფარულ იქნება სათადარიგო თანხიდან. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა ხარჯთ-აღრიცხვა. მიხ. თამაზაშვილს შეაქვს წინადადება, რომ ყოველივე დადგენილება კასისა აცნობონ ხოლმე დამფუძნებელ კრების იურიდიულ კომისიას, რათა უკანასკნელმა დაზღვევის კანონის შემუშავების დროს მხედველობაში მიიღოს კასის პრაქტიკა. კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. მიღებულ იქნა აგრეთვე კილაძის შემდეგი წინადადება: ეთხოვოს შრომის სამინისტროს, რათა უკანასკნელმა დააჩქაროს მუშათა დაზღვევის ახალ კანონის ცხოვრებაში გატარება. დერკოვსკი აცნობს კრებას ინსტრუქტორთა კურსების დაარსების შესახებ. გამგეობას გადაუწყვეტია ინსტრუქტორთა კურსების დაარსების შესახებ. გამგეობას გადაუწყვეტია ინსტრუქტორთა კურსების გახსნა, რომელიც მოამზადებს მუშაკებს მუშათა დაზღვევის საქმის ხელმძღვანელებათ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ შრომის სამინისტრო თანაგრძნობით ეკიდება ასეთ კურსების გახსნას და შეიძლება მთელი ხარჯებიც მიიღოს მან თავის თავზედ.

გამგეობის წინადადება უკამათოდ იქნა მიღებული. შრომის კომისარი მოუწოდებს რწმუნებულთ, რათა უკანასკნელთ მიიღონ ზომები, რომ მწარმოებლებს დროზე შეჰქონდეთ ხვედრი პროცენტები კასაში. ყოფილა ხშირათ შემთხვევები, რომ დროზე არ შეჰქონდათ ფული მწარმოებლებს.

**X.**

## პროვინცია

**ახალციხე.** უკანასკნელ ხანებში ახალციხის მაზრაში შიმშილობამ საშინელი ხასიათი მიიღო, სამი წლის რბევა-განადგურების შემდეგ ხალხს, ნივთიერად დაცემულს, დღეს შიმშილი მუსრს ავლებს. ყველგან ხალხს ერთი სათხოვარი, ერთი საჩივლელი აქვს. გვიშველეთ, დაგვიხსენით ამ ორ თვესო. ფოცხოვის რაიონში, ანაგაში, ურველში ხალხის ნაწილი ბალახით იკვებება, ზოგიერთ ადგილას მაგ., აწყვერის რაიონში შიმშილმა იმსხვერპლა ქალი და ბავშვი.

ქალაქ ახალციხეში პური დიდი ხანია აღარ იშოვება. დამშეული ხალხი ეროვნებას აწყდება, ომში გაწვეულთა ოჯახები—გვარდიის შტაბს. საშინელი სურათია. მდგომარეობა მეტად ცუდია. განსაკუთრებით განსაცდელშია ომში გაწვეულთა უპატრონოდ დარჩენილი ოჯახები. მიღებული ზომები ერობისაგან და მთავრობისაგან წვეთია ზღვაში. საჭიროა სასწრაფო ზომები.

**მგზავრი.**

— —

**ჩოხატაური.** „ერთობის“ 134 ნომერში პაიჭაძე დღევანდელ გაჭირვებაზე სწერს, მაგრამ მისი წერილი სავსებით ვერ ხატავს სინამდვილეს. კორესპონდენტი არ უთითებს გაჭირვების გამომწვევ მიზეზებზე, გამოსავალ საშუალებაზე არაფერს ამბობს. ჩოხატაურის ხალხში ჩუმი შიმშილობა უკვე დაიწყო. არის ისეთი ოჯახები, დღეში ერთჯერ სჭამენ, ზოგიც მცენარეულობით იკვებება, სიმინდი ბაზარზე ძლიერ ცოტაა, შემოაქვთ სპეკულიანტებს, კვირაში 20—30 ფუთი, რაც წვეთია ზღვაში. 600—700 მანეთად სიმინდი ადმინისტრაციის ძალდატანებით იყიდება, რაც ძლიერ აშინებს სპეკულიანტებს, რომ მეტი სიმინდი შემოიტანონ ბაზარზე; ნამდვილათ იყიდება სიმინდი დღეს ბაზარზე ე. ი. რიონის პირათ გულეკარ-კეთილარში —900—1000 მანეთად, არის სოფლად შემთხვევები სიმშილით გულისწასვლისა და დაცემისა. ადვილათ შეიძლებოდა თავის დროზე სიმინდის შეძენა სოხუმში, სამურზაყანოში და თვით გურიის რამოდენიმე ნაწილებშიაც კი, მაგალითად სუფსაში, ლანჩხუთში და ნიგოითში, საიდანაც გაიტანეს რამოდენიმე ვიგონებით. ფასი იყო არა უმეტეს ორასი მანეთისა ფუთი. სოხუმის ოლქიდან ფუთი დაჯდებოდა არა უმეტეს 100—120 მანეთისა. თუ გვიპასუხებენ, რომ ფული არ გვქონდაო, ეს უსაფუძვლო პასუხია, აქ ფული კი არ იყო საჭირო, არამედ მოქმედი კაცი, რომელიც დამშეულ რაიონებში შევიდოდა, მოითხოვდა სიმინდისათვის პურს, და ერთი კვირის განმავლობაში მოაგროვებდა ასი ათას მანეთობით, მაგრამ ასეთი გულშემატკივარი კაცი არ აღმოჩნდა გურიაში. უნდა აღინიშნოს, რომ კერძო ინიციატივა უაოყოფილია და ზედმეტიც არის, რადგანაც ყველა ძალაუფლებები მინიჭებული აქვთ თემებს და კავშირებს. მეორე, 1919 წლის აპრილის მეორე ნახევარში ერობის განკარგულებით ჩამოართვეს ზემო გურიის მცხოვრებლებს რიონის პირათ და ანჯელში ორი ათას ქცევაზე მეტი საყანე მიწა, რომლებსაც ისინი ყანობდნენ 20—25 წლის განმავლობაში, და რომლებშიც ქონდათ ჩადგმული სახლები და სასიმინდეები, ზოგიც დახნული. და ამის ნაცვლათ მისცეს მხოლოდ 300—400 ქცევამდე მიწა და ისიც ერთ ალაგას და დაუმუშავებელი, საიდანაც მუშებს უმნიშვნელო ზომა ერგოთ, აი ჩამოთვლილი მიზეზები დღევანდელი შიმშილობისა.

მივაქცევ რა მმართველი წრეების ყურადღებას ამ გარემოებაზე, ეხლა მაინც მიიღონ შესაფერი ზომები, რათა დაიხსნან ხალხი შიმშილ-სიკვდილისაგან.

**მკვიდრი.**

## წერ. რედაქციის მიმართ

სახალხო გვარდიის გურიის საოლქო შტაბი ამით აცხადებს საყურადღებოთ ყველა შტაბებისა, რომ სათადარიგო გვარდიელები გობრონიძე გიორგი, ცეცხლაძე ელისო მცხოვრებნი ლიხაურის თემის და მიქაბერიძე ნოე—მცხოვრები ქალაქ ოზურგეთისა გამევებულნი არიან გვარდიიდან პირველი ორი ლიხაურის თემში მოქალაქეების და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების შეურაცყოფის გამო, რაც დაუშვებელია გვარდიელისგან და სიმთვრალის დროს თოფებიდან სროლის გამო, რამაც გამოიწვია ისედაც ნერვიულ მდგომარეობაში მყოფ მცხოვრებთა აფორიაქება. მესამე კი ამხანაგებისაგან გამოთიშვისა და დეზერტირობის გამო მაშინ, როცა რესპუბლიკა მოითხოვდა შველას.

**გურიის საოლქო შტაბი.**

— —

მოქალაქე რედაქტორო! ნება გვიბოძეთ ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერლებს, თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადოთ ქალაქის გამგეობის საყურადღებოთ შემდეგი:

ჩვენ ყველანი, ვისაც ამ წერილზე ხელი გვიწერია, ვცხოვრობთ გრიბოედოვის ქუჩაზე, მე-25-ე № სახლში. ეს სახლი ეკუთვნის ბ. პოლოსოვს, რომელმაც ამ ორი წლის წინათ შეიძინა ის და თითონაც შიგ ცხოვრობს. სახლის პატრონი პოლოსოვი წვრილშვილიანი კაცია, ოჯახში 10 სული ჰყავს და მოთავსებულია 2 პაწაწინა ოთახში. ეს ორი ოთახი ზედ ადგას ფეხსადგილს და ამის გამო ბინაში აუტანელი სიმყრალეა. შარშან ბ. პოლოსოვს აქ ერთი ბავშვი მოუკვდა. ექიმების აზრით ბავშვის გადარჩენა შესაძლო იქნებოდა, ჰიგიენის მხრივ რომ უკეთ მოწყობილ ბინაში ეცხოვრა. დანარჩენი 6 ბავშვი და ცოლიც, (რომელიც ამ ჟამად ფეხ-მძიმეთ არის) ხშირათ ავათ ხდებიან, ასე რომ, ოჯახში თითო-ოროლა ავათმყოფი მუდამ არის. ბ. პოლოსოვის ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა ყურად იღო სახლის კომიტეტმა და ჯერ კიდევ 1918 წ. დაადგინა ერთხმად, რომ უკეთუ ამ სახლში რომელიმე ბინა განთავისუფლდებოდა, სულ რომ ორი ოთახიც ყოფილიყო, სახლის პატრონს დათმობოდა. მას აქეთ აგერ ორი წელიწადი გადის და მხოლოდ ეხლა განთავისუფლდა ერთ ბინაში სამი ოთახი. ბ. პოლოსოვმა ამის გამო აღძრა კიდეც სათანადო შუამდგომლობა, მაგრამ რა შედეგი მოჰყვება ამ შუამდგომლობას ჯერ არავინ იცის.

ჩვენ, სახლის ყველა ბინის მქირავებლები და კერძო მდგმურები ვამოწმებთ ყოველსავე ზემოხსენებულს და გვგონია, რომ დიდი უსამართლობა იქნება, თუ ამ ახალ განთავისუფლებულ ოთახებში სხვა ვინმე დასახლდა და ბ. პოლოსოვი კიდევ იმავ საშინელ ოთახებში დარჩა დაავადებულ ოჯახითურთ.

იმედია, ქალაქის გამგეობა ანგარიშს გაუწევს პოლოსოვის უმწეო მდგომარეობას, ყურად იღებს ამ ჩვენს განცხადებას, უბრალო სამართლიანობას არ დასთრგუნავს მხოლოდ იმისათვის, რომ პოლოსოვი სახლის პატრონია, თვით შეამოწმებს ყოველსავე ზემოთქმულს და დააკმაყოფილებს მის კანონიერს შუამდგომლობას.

შ. შარაშიძე. ან. შარაშიძე. ბ. ფირცხალავა. შ. ფირცხალავა. კ. ანდრეევა. А. Степановъ. Хитаровъ. М. Дорошеко. Сапарова. ელ. ქიქოძე. აგრიბანი.


## განცხადებანი

**იყიდება საკერავი მანქანა-შკაფი**
ზინგერის სისტემისა.
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი
**ი. გ. ქუთათელაძე**
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰქით. ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
**გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს სად. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 თ.

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3 მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი **ზ. ჰ. აღასოვი**
სპეციალურად ქირურგიულ ავადმყოფობას, მიღება დილით; [illegible] საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საშარდე. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

ექიმი
**ბ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი
**პ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი **მ. გოლშტეინი**
თვალით ავათმყოფი (სათვალეების გამორჩევა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი
**სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
**ე. მ. მძინარიშვილი**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
**ნ. მ. გაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)

**მუშათა ცენტრალური კლუბი**
(პლეხანოვის პროსპექტი № 123)
**ხუთშაბათს, 24 ივნისს, 1920 წელს**
საზოგადო მოღვაწის და ქართველ მწერლის **ილია რაჭველის** ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართება

**ს ა ღ ა მ ო**

1. **იოსებ იმედაშვილი**
სიტყვა: „მამულის მიჯნური“—ილია რაჭველის დახასიათება.

**პოეზია** ვ. რუხაძე, ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, დ. ახვლედიანი, ს. ერთაწმინდელი, ხ. ვარდოშვილი, შ. გომართელი, გ. შინატეხელი, ნ. ნოშრევანიძე და გ. გედევანიშვილი.

ან. შოთაძის და ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით.
**ხ ო ს ი ა ს ლ ე ლ ო**
კომ. 1 მოქ. ი. ზარდალიშვილისა.

**დები თარხნიშვილები**—გუნდით (ქართლ-კახური სიმღერები) დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში წარმოდგენის დღეს 4 საათიდან 10 საათამდე. (2004—1—1)

**ნამდვილი საჭმელი ზეთი**
ცოტაღა დარჩა და იყიდება ბაზრის ფასებთან შედარებით იაფათ. იკითხეთ გემთა საზოგადოება „კავკაზი და მერკური“ და „აღმოსავლეთი“ ერევნის მოედანი № 3 დილის 9—ს. 3—ს. (1996—2—2)


საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა № 4.